# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 28 თებერვალი, 2013 წელი.

№38 (7165)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.






26 თებერვალს ტელეჟურნალისტებთან შეხვედრისას ყავლგასულმა მიხეილ სააკაშვილმა ყველასთვის ცხადი გახადა თავისი ქოსატყუილობა – იმდენი იცრუა, იმდენი ჭორტყუილი გაავრცელა, იმდენ ადამიანს დასწამა ცილი, შინაურსა თუ გარეულს, იმდენი უკადრებელი იკადრა, რომ ძალაუფლების დაკარგვით ბოროტად დაბოღმილმა ოპოზიციური პარტიის თავკაცმა ნამდვილად საქვეყნოდ და საბოლოოდ მოიჭრა პრეზიდენტობის ცხრა წლის მანძილზე არაერთგზის შერცხვენილი თავი.

მერედა, უნდა კი ქვეყანას მსოფლიოს საზოგადოებრივ თვალში ასეთი სახელგატეხილი და თავმოჭრილი პრეზიდენტი?!

## 2-3 დღე – ივანიშვილის მიერ ქართული წამეზობი და სააკაშვილისთვის როქის გაკეთების დაკარგული შანსი

3

## დაუკონტრაქტებელი დამნაშავენი და დაკონტრაქტებული ნაცაქტივისტები

6

## გამოცხადებულ გადადგომათა ქრონიკები

9



## სააკაშვილი ინსპექციას შლის?

8

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ხალხის შეფასება: გაიაფებული პრეზიდენტი

# ნაციონალურმა მოძრაობამ მთელი თაობა დაღუპა...

## ნეტავი მართლა წახვიდოდეთ მიწისქვეშეთში!

**მინდა, უწინარესად, იმ ადამიანების მიმართ გამოვხატო ჩემი სიყვარული და თანაგრძნობა, ვინც ამ წლების განმავლობაში (მხედველობაში მაქვს ნაც.მოძრაობის მმართველობის 9 წელი) უსამართლობისა და განუკითხაობის მსხვერპლი გახდა. ასევე ვთხოვთ მათ, როგორც მრავალშვილიანი დედა, ნუ წამოეგებიან იმ ნეგატიურ ანკესს, რომელსაც ნაცმოძრაობა ასე გამალებით ისვრის...**

რაც შეეხება ჩემს დღევანდელ წერილს, ძალიან გამაღიზიანა და ლამის ტირილამდე მიმიყვანა სააკაშვილის (მას პრეზიდენტად ვერ მოვიხსენიებ) გუშინდელმა გამოსვლამ, კაცისა, რომელსაც დღესაც ჰგონია, რომ რამე სასიკეთო გააკეთა საქართველოსა და მისი მოსახლეობისათვის...

კაცი, რომელიც ურცხვად იძახის, ნულოვანი ტოლერანტობით ციხეები გავავსე და ახლა ნახევარი რომ გამოუშვით, რა უნდა აკეთონო... ისევ ისე მოიპარავენ და დააყაჩაღებენ ვინმესო...

არ მიყვარს კაცზე და, მით უმეტეს, ქვეყნის „პირველ პირზე" ცუდის ლაპარაკი, მაგრამ არ უნდა დამთავრდეს ამ ადამიანისგან ჩვენი დაცინვა?!

აშკარად ეტყობა, რომ მას საქართველო სჭირდებოდა უცხოელებისათვის, იმისთვის რომ „ემარიაჟა" და „ეტრაბახა", თუ რა მაგარი ბიჭია... რაც გააკეთა, ისიც უცხოელებისთვის საჩვენებელი „სავიტრინე" საქმეებია... ნეტა რომელ უცხოელს სიამოვნებდა სახედაღვრემილი ხალხის ქვეყანაში ჩამოსვლა და დასვენება?! თუ მარტო მისი ნაცმოძრაობის აქტივისტთა დებილნარევი ღიმილი და მრუშობისაგან შუქჩამქრალი თვალების ჭყეტა და ცეცება ეყოფა ტურისტულ ბიზნესს?! მიხედონ მაშინ ასეთ ტურისტებს და იყიყინონ დაღლამდე...

ბატონ მიშიკოს და ნაცმოძრაობას მივმართავ: თქვენ მთელი თაობა დაღუპეთ. 30 წლამდე ასაკის ვაჟკაცები თვალში არ მოგდიოდათ არასდროს... 30, 40 წლის და მათზე უფროსი ასაკის ხალხს თქვენ არ მოსდიხართ თვალში. ე. ი. ვისთვის ირჯებით და ლაპარაკობთ ამდენს?! ვისი პრეზიდენტი ხართ, ან ვისი პარტიაა ნაცმოძრაობა?!– – ვფიქრობ იმათი, ვისაც საკუთარი ეგოიზმი, ამპარტავნება, ბოლმა, ოქროსმოყვარეობა, მრუშობის სურვილი, სხვისი ჩაგვრა, წამება და განადგურება არაფრად მიაჩნია, თითქოს „სახელმწიფო ინტერესების" სამსახურში იდექით... ე. ი. გამოდის, რომ ვინც იდეის ირგვლივ ხართ გაერთიანებული ყველაფერი ქართული გაღიზიანებთ, ქართული სულიდან დაწყებული... რადგანაც თქვენს საქმეებში არ იგრძნობა ქართული სული.

არ დავიწყებ იმის განხილვას, რა მიმაჩნია მე და ბევრ ჩემნაირ ადამიანს ქართული სულის მატარებელ საქმეებად, აზრი არა აქვს... ღმერთმა მოგხედოთ და ყველას, თითოეულ თქვენგანს მიუზღოს მისი წილი საქმეებისთვის...

რატომ ფიქრობთ, რომ ხალხს არ ესმის, ან არ იცის, რაც გააფუჭეთ და გაანადგურეთ? ვერ ელევით სკამებს, რადგან მშვენივრად ხვდებით, რომ თუ ხალხში გამოსვლას და ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრებას გადაწყვეტთ, კეთროვანებივით მოგიწევთ ყოფნა და, სხვათა შორის, ისევ „თქვენიანებს" რომ ეძახით, ისინი უფრო მალე მოგწვდებიან...

ყელყელაობა და ამდენი ტლიკინი გამოიწვევს სწორედ იმ აგრესიას, რაც ასე ძალიან გჭირდებათ, რომ წამებულებად გამოაცხადოთ თქვენი „ოპოზიციურ-„ეშმაკისეული" პარტია. პატარ-პატარა ნაციონალური ჭინკების საყურადღებოდ კი ვიტყოდი, რომ თუ ზრდილობასა და კულტურაზე ლაპარაკობენ, უფროსთან შეკამათებაც კი (ქართული ტრადიციებით) უკვე უზრდელობის და უკულტურობის მაჩვენებელია. მით უმეტეს – დაუსაბუთებლად ლანძღვა და ცილისწამება... ხომ ვერ მეტყვიან, რომელია ბიძინა ივანიშვილის ტოლი?! ასაკით მაინც?!

პოლიტიკოსობით თუ უნდათ გაამართლონ თავიანთი უზრდელობა, ნამდვილად არ გამოუვათ, იმიტომ, რომ მე ქალი ვარ და ლამის გული გამისკდეს მაგათ შემხედვარეს, თორემ კაცი, რომ ვიყო!..

არ არსებობს რაიმე კანონიერი მექანიზმი, რომ მართლა ხალხს ჰკითხოთ, უნდათ თუ არა მათი მოსმენა ტელევიზიებიდან?! არ გვეყოფა, რაც 9 წელი გამოგვიჭედეს ყურები ტყუილებით?! კი, ბატონო, გადავრთავ ტელევიზორს, მაგრამ საქართველომ და ქართულმა სულმა როდემდე უნდა აიტანონ მაგათი დუჟმორეული სიმყრალე?!

გუშინ წამოსცდა მიშიკოს, წავალ მიწისქვეშეთშიო (რა თქმა უნდა, პოლიტიკურად), მაგრამ მერე გამოასწორა თავისივე ნათქვამი და „ვერ მივართვიო", სწრაფად დააყოლა...

აქ კი წერტილს დავსვამ, რადგან აზრი არა აქვს თქვენთვის მორალის კითხვას.

თუმცა, თუ რაიმე სისულელეებით კვლავ დააპირებთ ტელევიზიებით ჩვენს გაოცებას, აუცილებლად შეგეხმიანებით.

**ტურფა არველაძე**

# ტყუილების კორიანტელი

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ ავლაბრის რეზიდენციაში 26 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე გაკეთებულმა რამდენიმე სენსაციურმა განცხადებამ, რომლებიც, კერძოდ, სს „თიბისი ბანკისა" და „ლიბერთი ბანკის" წილების შესაძლო გასხვისებას, ასევე რუსეთის ბაზარზე სამამულო წარმოების ღვინისა და მინერალური წყლების შეტანას ეხებოდა, საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.**

ჟურნალისტებთან შეხვედრისას მიხეილ სააკაშვილმა, კერძოდ, რუსეთული საბანკო ინსტიტუტების მიერ საქართველოს „გახშირებულ ფაქტებზე" ილაპარაკა და დასძინა, რომ „ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში საქართველოს კუთვნილი დიდძალი ქონება რუსეთის საკუთრებაში აღმოჩნდება".

აღნიშნულთან დაკავშირებით რედაქცია ორივე ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაუკავშირდა, სადაც განაცხადეს, რომ არც ერთი, არც მეორე ბანკის წილის გასხვისებაზე ლაპარაკი არ არის. მანამდე ასეთივე განცხადება ორივე ბანკის ხელმძღვანელებმა გააკეთეს.

პრეზიდენტის განცხადების თაობაზე ეროვნულ ბანკში აცხადებენ, რომ „თიბისი ბანკისა" და „ლიბერთი ბანკის" ამის თაობაზე „ინფორმაციას არ ფლობენ".

ინფორმაციას ქართული ბანკებით დაინტერესების თაობაზე ასევე კატეგორიულად უარყოფს რუსეთული „სბერბანკის" პრესსამსახურიც... ამ სამარცხვინო საქციელს სააკაშვილის დაგვიანებული ბოდიში ოდნავადაც ვერ აქარწყლებს...

ნეგატიური რეაქცია გამოიწვია ასევე პრეზიდენტის განცხადებამ იმის თაობაზე, თუ „რატომ ვერ გადავლახეთ რუსეთის სიამოვნების სურვილი" და საქართველოს ახალი ხელისუფლების კრიტიკამ იმის გამო, რომ ქართული ღვინისა და მინერალური წყლების რუსეთულ ბაზარზე დაბრუნებას ცდილობს. ქართველ მეღვინეთა აღშფოთება კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის გენადი ონიშჩენკოს განცხადებამ იმის თაობაზე, რომ იგი საქართველოდან რუსეთელ ექსპერტებს გაიწვევს, თუკი პრეზიდენტი სააკაშვილი მათ მიმართ შეურაცხმყოფელ განცხადებას არ შეწყვეტს და მათ მუშაობის ნორმალური პირობები არ ექნებათ.

# ისინი რვანი იყვნენ...

**ვინ ისინი? არ ვიცი, ვერც ერთი მე ვერ შევიცანი, თუმცა ჩემგან შეუცნობლობა ბევრს არაფერს არ ნიშნავს... ჟურნალისტებად გამოაცხადეს, პრეზიდენტი ავლაბრის რეზიდენციაში შეხვდაო და პირდაპირ ეთერში ვრთავთო. საზმაუწყებელმა, „რუსთავი-2"-მა და „იმედმა", რასაკვირველია, ყველაფერი მიატოვეს და ავლაბრულ ტალღაზე გადაერთვნენ...**

მრგვალ არა, მაგრამ გრძელ მაგიდასთან ცხრა მოვითვალე: „სუფრის" თავში, „თამადად" – მიხეილ-მთავარმართებელი, ორი ბოლოში, გვერდებზე, აქეთ-ქით, სამ-სამი – ცხრა გამოდის, ხომ?.. პრეზიდენტი ჟურნალისტებს ხვდებაო – თქვე დალოცვილებო, „პრეზიდენტი" ვინ არის, არ მინდა თქმა, ისედაც მთელ მსოფლიოშია სახელგანსმენილი, მაგრამ ეგ ჟურნალისტები ვინ არიან, სად და რას ჟურნალისტობენ, რა ნიშნით შეურჩიეს და მიჰგვარეს გრძელოს, არ უნდა მითხრათ? ამ გამჭვირვალობის ხანაში, მით უფრო? თორემ თავდაჭერისა და ქცევის მანერით სტენოგრაფისტები მგონია.

არ მახსოვს, ამგვარი შეხვედრებისას რომელიმეს (ჟურნალისტს) მწვავე შეკითხვა დაესვას „პრეზიდენტისთვის". არადა, ის ხომ პირდაპირ მისწრებაა მწვავე კითხვებისათვის. ალბათ, თუ საერთოდ პირს გააღებინებენ, წინასწარ არიგებენ – შენ ეს კითხე, შენ ისო...

სამშაბათის აქციას რაც შეეხება, ჩვენი არასამთავრობოებივით მომრავლებული ექსპერტები და პოლიტოლოგები, რა თქმა უნდა, დაწვრილებით გაარჩევენ, გააანალიზებენ, მე კი ორიოდ მომენტზე შევჩერდები.

ვადაგასულმა მორიგ ჯერზე გადმოაფრქვია სიცრუე, დემაგოგია თუ ბაქიობა, შიგადაშიგ აბდაუბდა – ყველაფერი ამის, მოგეხსენებათ, დიდი ნიჭი აქვს, პიარის ნიჭთან ერთად; მე გამაოცა განცხადებამ და იქვე გამოთქმულმა შეშფოთებამ – ესა და ეს ქართული ბანკები ამა და ამ რუსულმა ბანკებმა შეისყიდესო. შეშფოთებულია კაცი, რომელმაც პირველპირობისას (ახლაც რომ პირველი გონია თავი) იმ რუსეთს ხონჩით (პეტრე მამრაძის ვერსიით, ლანგარზე) მიართვა ქართული ტერიტორიები, მიყიდვით კი ამდენი ქართული სტრატეგიული ობიექტი მიყიდა. რა ჰქვია ამას, თუ არა „ჩემი შენ გითხარის" პრინციპით მოქმედების გაგრძელება...

არადა, მეორე დღესვე (ოთხშაბათს) ხსენებულმა ქართულმა ბანკებმა არ დაადასტურეს ყავლგასულის ენა-პირით გაცხადებული გაყიდვის ინფორმაცია; და თუ ეს ტყუილი იყო, ამისთანას უნდა კადრულობდეს 20 იანვრამდე პრეზიდენტი და მერე ნაპრეზიდენტალი?..

შეაჩნევდით, ეგებ-მიხეილ-ბატონს ხან ვადაგასულს ვუწოდებ, ხან ყავლგასულს, ხან წინწკლებიან პრეზიდენტს, ხან განვადებულს... ახლა ერთ ახალ იდეას შემოგთავაზებთ, თან ჩიორას ცხვირს დაგაფიცებთ, დამიჯეროთ იქნება: მოდით, დღეიდან, გაზეთის ამ ნომრიდან „ნასესხები" შევარქვათ. რა, ზამთარმა თუ მარტისაგან სამი დღე ისესხა, მიმავალ მიხეილ სააკაშვილს რომ მომავალი პრეზიდენტისაგან ცხრა თვე ესესხა, არ შეიძლებოდა? „ბიჭმა გოგოს რომ აკოცოს"-ი არ იყოს, მიშამ ცხრა თვე რომ ისესხოს, ამით რა დაშავდება?..

ამრიგად, ჩვენ ვიწყებთ: ნასესხები პრეზიდენტი ავლაბრის რეზიდენციაში ჟურნალისტებს შეხვდა. ისინი რვანი იყვნენ...

**ბერდია ბედოიძე**



**ისევ ორიანი...**

**(ერთი ძველი ცნობილი მხატვრის სურათის მიხედვით).**

ფეისბუკიდან

# წერტილოვანი აზრები...

**როცა ოკუპაციის წინააღმდეგ გუნავა, პაიჭაძე, მასხარაშვილი, ქარდავა, თუთბერიძე, ხოშტარია და ა.შ. „ინტელექტუალლიბერასტები" ტელევიზიით გამოდიან, როცა ოკუპაციას ე.წ. „ცნობადი" თუ ჯერ „არც ისე ცნობადი" სახეები შარდენზე სიმღერით „ებრძვიან" რატომღაც ბაბუაჩემის ძმის, პორუჩიკ მანაველ გაბრიჭიძის შეურაცყოფა მგონია (იუნკრებზე, გენერალ მაზნიაშვილზე, ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, მარო მაყაშვილზე არაფერს ვამბობ).**

**ფილმი „დარიკო" ხომ გახსოვთ, იქ ერთი მოხუცი რომ ეუბნება ბოქაულს: ჩაფარი თქვენია, პრისტავი და სალდათი, მე ამ შიშველი ხელებით სად ვდიო დარიკოსო, ბოდიში მომითხოვია, მარა პარლამენტი თქვენია, პრაკურორი და პოლიცია და მე ამ ფეისბუკით სად ვდიო კუბლაშვილს და უგულავას?**

**მერია რომ კონცერტებს აფინანსებს ბიუჯეტიდან, გაყიდული ბილეთებიდან მიღებული შემოსავლის წილი არ მეკუთვნის? (სხვათა შორის თქვენც გეკუთვნით!).**

**როგორც იქნა ასრულდა ქართველი ერის კიდევ ერთი ოცნება: სახელმწიფო დაცვის სამსახური მთავრობას დაექვემდებარა.**

**უჰ, არ ამოვისუნთქე. არადა რამდენი ღამე გვითენებია იმაზე ფიქრში, როდის გადაწყდებოდა ერის კეთილდღეობისთვის ესოდენ საჭირბოროტო საკითხი.**

**ვაშა, ქართველო ერო!**

**ვკრათ ბუკსა და ნაღარას. გამოვიდეთ ქუჩაში და ერთად ვიზეიმოთ ეს დიადი გადაწყვეტილება.**

**უგულავა ისევ მერია, სამინისტროებში ისევ ნაცმოძელები სხედან, „საზმაუზე" ისევ კვესიტაძე და პაიჭაძე ბლატაობენ. კოკა სეფერთელაძის მოხსნის გულისთვის თუ იწვალეთ ამდენი, პირდაპირ გეთქვათ. ვთხოვდით და კომფორტულად გადადგებოდა.**

**თიკო თვალაძე**

# მიშამ „ყიყლიყოებით" გაგვართო!..

**შეამჩნიეთ, ხალხო?! ჩვენს ვითომ პრეზიდენტს ხმის აწევის დროს რა „ყიყლიყოები" დასწყებია?.. როცა თავის „დიდ-დიდ" გაკეთებულ საქმეებზე ჰყვება, მაშინ კი არა, აი, „ოცნებაში" რომ გადადის და ნერვიულობს, მაშინ ნამეტნავად ეჭედება ხმაში.** მივეჩვიეთ მის ტრაბახს, მივეჩვიეთ მის ტყუილებს, მაგრამ რაც მაგან ჟურნალისტებთან შეხვედრისას სისულელეები გაახურა, მე, მაგალითად, შემრცხვა, რომ საქართველოს ამ დონის პრეზიდენტი ჰყავს!..

ღმერთო, გვიშველე!

**მიხეილ ჯაფარიძე,**

**61 წლის უმუშევარი ინჟინერი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# 2-3 დღე — ივანიშვილის მიერ ჩართული წამმზომი და სააკაშვილისთვის როქის გაკეთების დაკარგული შანსი

**პოლიტიკური როქი, რომელიც მიხეილ სააკაშვილს საშუალებას მისცემდა დროებით მაინც მოერიდებინა თავი პოლიტიკური ხოცვა-ჟლეტისთვის და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის არა თუ ნაციონალების მარცხი, არამედ პოლიტიკური ყაიმი დაეფიქსირებინა, რასაც ალბათ მოწინააღმდეგეც შეუწყობდა ხელს — შეუძლებელი გახდა. ახლა საათი წამებს სწორედ ნაციონალებს უთვლის და სააკაშვილის სვლას ელოდება. ამ სვლისთვის კი მხოლოდ 2-3 დღეა დარჩენილი. მერე ბრძოლა სიკვდილამდე ან გამარჯვებამდე — იმის მიხედვით, ვისთვის რომელი მდგომარეობაა უფრო ახლო და მისაღები.**

**ივანიშვილმა სააკაშვილს „გარდე" გაუკეთა და როქი კი შემდეგი სვლა ვერ იქნება. ახლა სააკაშვილი დანიელი პრინცის დილემის წინაშე დგას და რა გზას აირჩევს, ეს სწორედ 2-3 დღეში გახდება ცნობილი.**

ეპისტოლარული ურთიერთობა ქართულ პოლიტიკაში არახალია. მაგრამ ბიძინა ივანიშვილისგან მის პირველ ორ წერილს თუ არ ჩავთვლით, ასეთი სვლა და თანაც ამ ვითარებაში, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო.

არ დავიწყებ იმაზე საუბარს, რომ ამჟამიდელ პოლიტიკურ კრიზისში მნიშვნელოვანი წვლილი პრემიერ-მინისტრსაც ეკუთვნის და ეს პირველ რიგში, მისი სუსტი საკადრო პოლიტიკის გამოძახილია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რასაც სააკაშვილი და მისი გუნდი დღეს აკეთებს, ამას პოლიტიკური ბრძოლა არ ქვია და ეს უფრო ობსტრუქციაა — ქვეყნის, სახელმწიფოს წინაშე.

როგორც იტყვიან, ჟირაფი მაღალია და იგი უკეთ ხედავს... ამ პრინციპით თუ შევხედავთ მოვლენებს, ივანიშვილი უფრო მეტ ინფორმაციას ფლობს, ვიდრე რომელიმე ჩვენგანი და ალბათ, ეს ყველაფერიც გახდა იმის მიზეზი, რომ მას საქართველოს პრეზიდენტისთვის ულტიმატუმი წაეყენებინა.

მართალია თავად ივანიშვილი აცხადებს, რომ ამ ულტიმატუმის შედეგი მხოლოდ საზოგადოების რეაქცია და მისი დაფასება იქნება, მაგრამ ისიც ნათელია, რომ მხოლოდ მოსალოდნელი საზოგადოებრივი ემოციების გამო არ აფრთხილებს ივანიშვილი მის მთავარ ოპონენტს. რაც შეეხება „დაფასებას", ახლა ამაზე არ შევჩერდები, ეს სხვა თემაა და სხვა დროს ვისაუბროთ, თუმცა, ორი სიტყვით ვიტყვი რომ ივანიშვილის გუნდს დასაფასებელი ოპონენტებისა და მით უფრო, მომხრეების შერჩევისა და დანახვის გაუგებარი კრიტერიუმები აქვს.

და მაინც, რას ითხოვს ივანიშვილი სააკაშვილისგან და, როგორც იტყვიან, რატომ „ჩაუტარა" ასე მძიმედ და ულმობლად.

**„ხელისუფლების საკითხი ქვეყანაში გადაწყვეტილია და ამიტომ არ მოგმართავთ როგორც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, რომელთანაც რაიმე დამრჩა გასარკვევი",** — ასე მიმართავს ივანიშვილი პრეზიდენტს და ამით გასაგებად ეუბნება მიხეილ სააკაშვილს, ერთხელ **„ხომ აგისრულე, რასაც დაგპირდი",** თუ საჭირო იქნება კიდევ გავიმეორებო. ვისაც ამ დრომდე არ სჯერა, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში სააკაშვილმა შემოიყვანა, უფრო სწორად, აიძულა რომ შემოსულიყო პოლიტიკაში, იქნება ახლა მაინც მიხვდეს — ეს რეალობაა. 1 ოქტომბერს ივანიშვილმა სააკაშვილი პირწმინდად დაამარცხა და თან საკუთარ მოედანზე — „შეუსრულა" როგორც იტყვიან და ახლა შანსი არაა, არ მისცემს რევანშის საშუალებას.

**„ხელისუფლება თავისი ხალხის წინაშეა პასუხისმგებელი, ხოლო ხალხი თავის ხელისუფლებაზეა პასუხისმგებელი. ამიტომ ვცდილობ, ყველაფერს და ყველას არ გადაესვას ხაზი, ყველაფერს და ყველას არ მოეცხოს ლაქა, მათ შორის, ქართველი ხალხის თავმოყვარეობას და ღირსებას",** — ამბობს ბიძინა ივანიშვილი და რაღა დაგიმალოთ ამ ფრაზის წაკითხვისას პრემიერი გულუბრყვილო, მიამიტი ბავშვი მგონია. ნაციონალურ მოძრაობას არასოდეს ჰქონია პასუხისმგებლობის გრძნობა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხალხსაც მოსპობოდა ამის შეგრძნება. შესაბამისად, ამით ვერ მოხერხდება პრეზიდენტისა და მისი გუნდის გულის აჩუყება.

აი, შემდეგ კი პრემიერი უფრო პრაგმატული ხდება და საზოგადოებას არ უმალავს, რომ საკონსტიტუციო ცვლილების სანაცვლოდ **„ვთანხმდებოდი ამნისტიის ისეთ ვარიანტსაც კი, რომლის ახსნა ძალიან გამიჭირდებოდა საზოგადოებისთვის".**

ბატონო პრემიერო, ეს რომ შეცდომაა, ანუ შეცდომა იყო, იქნებ ამას ოდესმე მიხვდნენ თქვენი გუნდის ის წარმომადგენლები, რომლებმაც შეძლეს თქვენი დათანხმება ამნისტიასთან დაკავშირებით. ამ ხალხმა დანაშაული ჩაიდინა და ნურავინ იტყვის, რომ ადამიანები სისტემის მსხვერპლნი გახდნენ შვილების გამოკვების აუცილებლობის და სხვა მრავალი, მაგალითად,



შესაძლო შანტაჟის და სხვა მოსალოდნელი უგვანო საქციელების გამო. აქ მარტივი ფორმულა მოქმედებს — იცი რომ დანაშაულს ჩადიხარ, მაგრამ შვილიც გინდა მაძღარი გყავდეს, ჯიპებით იგრიალო, თავზე დაასაქმო იმას ვისაც გიბრძანებენ, რომლის შვილიც, ოჯახიც და ღირსებაც ცალ ფეხზე გკიდია და პასუხი არ აგო? აშიმშილე შენი შვილი ისევე როგორც სხვისი შვილის შიმშილს მოითხოვ და თავზეც დაასაქმებინე და ღირსებაც შეინარჩუნე. ეს უფრო კაცური არაააა? თუნდაც უფრო სახლმწიფოებრივი? ამიტომ ამნისტიის ის მოდელი, რომელიც სააკაშვილს სურდა და რაზეც გარკვეული თნხმობა ივანიშვილის გუნდიდანაც იყო, კარგია რომ ჩავარდა და არ გავიდა.

თუ ივანიშვილის მიმართვის პათოსს მივადევნებთ თვალს, მან შეძლო დასავლეთის ყურადღება მიეპყრო რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე. პირველი — სააკაშვილი დამნაშავეა, რომელიც საკუთარი თავის გადასარჩენად ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას უფსკრულში მიაქანებს და ღუპავს საკუთარ გუნდასაც, რომელსაც პოლიტიკური ცხოვრების უფლება აქვს. მეორე — დასავლეთში ისედაც კარგად იციან და გაიგეს სააკაშვილის ცხრაწლიანი მმართველობის სიმახინჯეები და, შესაბამისად, პრემიერმა ცივილიზირებურად აუხსნა მათ, რომ სააკაშვილის მხრიდან სახელმწიფო გადატრიალებას არ გამორიცხავს, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს მმართველობის მახინჯ ფორმებს და მესამე — ივანიშვილი მზადაა კოჰაბიტაციისთვის, სააკაშვილი კი — არა.

პრემიერი ღიად ამბობს, რომ სააკაშვილი საკუთარი გუნდის წევრებს გაზვიადებული საფრთხის განცდით აკავებს და აშანტაჟებს — **„თქვენ ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ ცივილიზებულ, სათანამშრომლო ვითარებაში არ გადასულიყო პროცესი. ამის მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — თქვენს გუნდს თქვენ გარშემო მხოლოდ თქვენ მიერვე გაზვიადებული საფრთხის განცდით აკავებთ და აშანტაჟებთ".** ამ მესიჯით კი ივანიშვილი თავად სააკაშვილის გუნდის წევრების გამოფხიზლებასაც ცდილობს. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ყველასთან მიმართებაში ეს ნამდვილად არ გამოვა და პრეზიდენტს ჰყავს ორი ათეული ადამიანი, რომელიც მას მართლაც ჩაყვება თუნდაც პოლიტიკურ სამარეში.

ცალკეული დეტალები, რომლის განზოგადებაც ასევე საინტერესოა, მიმართვაში უხვად არის, მაგრამ უმთავრესი მაინც ის არჩევანია, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა უნდა გააკეთოს და რომლისთვისაც ბიძინა ივანიშვილმა ორი-სამი დღე შემოფარგლა.

**„ინიცირებული კონსტიტუციური ცვლილება პარლამენტში მარტის ბოლომდე დადგება კენჭისყრაზე. ეს კენჭისყრა კი უკვე ნამდვილად იქნება წყალგამყოფი. გნებავთ ულტიმატუმად მონათლეთ ჩემი სიტყვები და გნებავთ პოლიტიკურ დიდსულოვნებად, მაგრამ სრულიად ცალსახად ვაცხადებ — ვინც ეთანხმება ამ ცვლილებას, იგი აგრძელებს ქვეყნისთვის სამსახურს, ეძლევა შეცდომების გამოსწორების და უკეთესი პოლიტიკური მომავლის შანსი; ვინც უარს ამბობს ამ ცვლილებაზე, იგი იღებს სრულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც 9 წლის განმავლობაში ნებისმიერ თქვენს თანაგუნდელს ჩაუდენია და ამ ტვირთით აგრძელებს ცხოვრებას.**

**მე კარგად მესმის, რასაც ვამბობ. საკითხი ამგვარად მმართველი კოალიციის შიგნითაც კი არასოდეს დამიყენებია და არ გამომიცხადებია ე.წ. სავალდებულო კენჭისყრა. მაგრამ ახლა საქმე რომელიმე „საკითხს" არ ეხება. კონსტიტუციური ცვლილებები ეპოქალურ თემას დაუკავშირდა: წინ — მომავლისკენ, თუ უკან — წარსულისკენ. ამიტომ ვერ მივიღებ ვერანაირ „კი, მაგრამ"-ს და „დღეს არა, ხვალ"**-ს. — აცხადებს ივანიშვილი და სწორედ ესაა ის სვლა, რომელიც სააკაშვილს როქის გაკეთების საშუალებას არ აძლევს.

თუმცა, რაღა სააკაშვილს, ეს ფრაზა საკაშვილის გუნდის ბევრი წევრს, გარდა იმ ორი ათეული სამარეში ჩამყოლისა, ათქმევინებს „წინ! მომავლისკენ!" და ეს გადაწყვეტილება სააკაშვილმა არამც და არამც არ უნდა აღიქვას საკუთარი თანაგუნდელების უმადურობად ან ღალატად. ეს იქნება პრაგმატული ნაბიჯი, რომელიც ქვეყანას პოლიტიკური კრიზისის დაძლევაში დაეხმარება.

**2-3 დღე არც ისე დიდი დროა, მაგრამ არც ცოტაა, რომ გადაწყვეტილება ვერ მიიღოს მიხეილ სააკაშვილმა. სააკაშვილი პოლიტიკური ვამპირია, იგი გვინდა თუ არა საკმაოდ გათვითცნობიერებულია მაკიაველიზმში. მართალია, ეს ნიჭი, მას შევარდნაძესავით თანდაყოლილი არ აქვს, მაგრამ აქვს და ამის დაუნახაობა არ შეიძლება. შესაბამისად, იგი შეეცდება ამ ვითარებიდან „მშრალი" გამოვიდეს. შეეცდება და გამოუვა თუ არა, ეს სხვა საკითხია.**

და მაინც ჩემთვის, საქართველოს რიგითი მოქალაქისთვის, ამ მიმართვაში უმთავრესი ფრაზა ასე ჟღერს: **„რაც შეეხება კანონს, იგი ყველასთვის კანონად დარჩება: თქვენგან განთავისუფლებული სასამართლო უდანაშაულოს თავისუფლების გარანტიას მისცემს, ხოლო დამნაშავეს — სასჯელის".**

**ისე, „19 აპრილის" ორი თვით ადრე დათქმა ის შეცდომა იყო, რომელიც ნაცმოძრაობისთვის მართლაც სავალალო შეიძლება აღმოჩნდეს. მიშას თავისუფლად შეუძლია, ამას როცა კარგად გაანალიზებს, ჩვეულ სტილში დაალეწოს თავ-პირი ამ „საკრალური" თარიღის შემრჩევ სუბიექტებს. ისე, 19 აპრილის „ისტორიას" თუ გადავხედავთ ამ დღეს — 1999 წელს — გერმანიის პარლამენტი დაბრუნდა ბერლინში, 2007 წელს კი რუმინეთის პარლამენტმა უფლებამოსილება შეუწყვიტა პრეზიდენტ ტრაიან ბესესკუს ძალაუფლების გადაჭარბებით გამოყენების ბრალდების გამო. კი ნამდვილად ნიშანდობლივია 19 აპრილი.**

**მაგრამ მანამ 2-3 დღეა... ჩართული წამმზომი და როქის გაკეთების დაკარგული შანსი.**

**ლევან ნოზაძე,**
**XO-ეიჩ-ენი**

## ალიან-ჩალიანი

### პრეზიდენტი ბაცანა ბავშვივით იქცევა

**— ერთი ძალიან კარგი ფრაზა არსებობს — ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ ასევე მინდა ჩემი სურვილი გამოვხატო. როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, ვამბობ — მე არ მინდა ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი იქცეოდეს პატარა ბაცანა ბავშვივით, იმიტომ, რომ ტყუილების თქმა ამ სიმაღლის თანამდებობიდან ნამდვილად მიუღებელი და უკადრისია, განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა პრეზიდენტის განცხადებების კომენტირებისას.**

**მისი თქმით, პრეზიდენტის განცხადებები რეალურად საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკის ისეთ მნიშვნელოვან სექტორს, როგორიც არის საბანკო სექტორი.**

**— არ მინდა მართლაც, გულწრფელად, ის, რასაც ვხედავ პრეზიდენტის გამონათქვამებში. უფრო მეტი დაღვინება, სერიოზულობა და სიმშვიდე მართებს, — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.**

### „გლახის ნაამბობი"

**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას „გლახის ნაამბობს" უწოდებს. — ბატონი პრეზიდენტის გუშინდელი გამოსვლა შეიცავდა უამრავ სიტყვას და ძალიან ცოტა ინფორმაციას. ძირითადი ინფორმაცია იყო ის, რომ იგი მზადაა მოლაპარაკებებისთვის, დანარჩენი წარმოადგენდა მხოლოდ ლაპარაკს, ტრაბახს და ბევრ ტყუილს. მე ასეთ გამოსვლებს ვეძახი ხოლმე გლახის ნაამბობს — მან შემოგვჩივლა, რომ ნაწყენია პარლამენტის თავმჯდომარეზე, რადგან თურმე ცინიკური სახე გაუხდა, არადა სინამდვილეში ნაწყენია, რადგან დავით უსუფაშვილი შეეპასუხა და არ აცალა ტყუილების თქმა, როცა ერთად გამართეს პრეს-კონფერენცია მოლაპარაკების შემდეგ. სააკაშვილი ნაწყენია ბიძინა ივანიშვილზე და ა.შ, — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა. რაც შეეხება პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, სახელმწიფო დაცვაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, დეპუტატი ამას „ბავშვობანას თამაშს" უწოდებს და აღნიშნავს, რომ სააკაშვილის, როგორც ქვეყნის პირველი პირის უსაფრთხოება მაინც იქნება უზრუნველყოფილი.**

**საერთო ჯამში, ბერძენიშვილი სააკაშვილის გუშინდელ გამოსვლას სამარცხვინოდ მიიჩნევს და ამბობს, რომ ის სამარცხვინო იყო ზოგიერთი ჟურნალისტისთვისაც.**

### „ნეულავიმი ჯო"

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში „ნისანის" მარკის ელექტრომობილით, დაცვის გარეშე მივიდა. ელექტრომობილს თავად მიხეილ სააკაშვილი მართავდა. მასთან ერთად იმყოფებოდნენ**



**საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი, თბილისის მერი გიგი უგულავა მეუღლესთან ერთად, ყოფილ პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური და საპარლამენტო უმცირესობის სხვა ლიდერები.**

**— ხუთი კვირაა, როგორც კი ნათელი გახდა, რომ დაცვის სამსახურის აქვს სერიოზული პრობლემები, დაცვის გარეშე დავდივარ. ჩვენ ვერავინ ვერ შეგვიშლის გადაადგილებას, ვერ შეგვიზღუდავენ ადამიანებთან შეხვედრას და ჩვენი ფუნქციების შესრულებას. ზედმეტი დრამატიზაცია და სპეკულაცია ამ თემაზე არ არის საჭირო, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ბათუმელებს არავინ კითხავს სად აშენდეს მეჩეთი...

**ბათუმში სულთან აზიზის სახელობის ჯამე თეატრის უკან, მოედანზე არ აშენდება. თუმცა, ჯამე მაინც აშენდება, მაგრამ ქალაქის რომელ უბანში, ჯერ ცნობილი არაა.**

მას შემდეგ, რაც აჭარის ხელისუფლებაში რესპუბლიკელები მოვიდნენ, ცხადი იყო, რომ ისინი „პირველ ჩვენებას“ მიაწვებოდნენ და მუსლიმანურ სალოცავს ააშენებდნენ. თუმცა, ტუზი მაშინ დაეცათ, როცა პრემიერ-მინისტრი თურქეთს ვიზიტად ეწვია და მეზობელი ქვეყნის კოლეგასთან ერთად გადაწყვიტა თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ორი ქართული ეკლესიის რესტავრაციის სანაცვლოდ ბათუმში ახალი ჯამე აშენებულიყო. ივანიშვილის განცხადება ამასთან დაკავშირებით იმდენად კატეგორიული იყო, რომ თავში არავის მოსვლია ეს გადაწყვეტილება გაეპროტესტებინა. ან კი ვის უნდა გაეწია წინააღმდეგობა! ეგრეთ წოდებული ნაცმოძრაობა-ოპოზიცია ამას არ იზამდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავის დროზე სწორედ მათი წაქეზებითა და მხარდაჭერით აგორდა აზიზის სახელობის მეჩეთისა და ჯამეს აშენების თემა. აჭარის ახლანდელი რესპუბლიკური ხელისუფლება თავის დროზე რომ შიგანს იხევდა, მუსლიმანური სალოცავის აშენება ბათუმში დაუშვებელიაო, ახლა აცხადებს, მასე კი არ გვითქვამს, ჩვენ იმის წინააღმდეგები ვიყავით, აზიზის სახელი არ დარქმეოდა, იუნკერების საფლავებზე არ აშენებულიყო და უცხო ქვეყნის ფულით არ ყოფილიყო დაფინანსებულიო. გამოდის, მე და ჩემისთანები ბათუმის თავსხმა წვიმაში, ერთხელ და ორჯერ კი არა, ვინ იცის რამდენჯერ, რომ ვიდექით ჯამეს აშენების საწინააღმდეგო აქციებზე, გამოგვიყენეს, გვაყვირეს, „არა, არაო“ და ახლა თანამდებობები რომ მოირგეს, კარგად იყავითო გვითხრეს. ამიტომაც ვაღიარებთ მე და ჩემისთანები, რომ დღეს აჭარას ჩვენზე ჭკვიანი მთავრობა და უზენაესი საბჭო ჰყავს. რადგან არც ახლანდელი მთავრობის თავმჯდომარე და არც მისი არც ერთი მინისტრი, არცერთ აქციაზე არ მინახავს, რომელზეც ჯამეს აშენების თუ ნაცმოძრაობის საწინააღმდეგო საკითხები იხილებოდა. ისხდნენ თავისთვის ბანკებში, თუ ნაცმოძრაობის ნაბოძებ თანამდებობებზე და ჩვენს პროტესტზე, ალბათ, ქირქილებდნენ. ახლაც დაგვცინიან. რა გაეწყობა, მურმან დუმბაძის და მისი უახლოესი გარემოცვის წყალობით, ამასაც უნდა შევეგუოთ აჭარის მცხოვრებნი და მადლობა ვთქვათ თუ ეს გვაკმარეს და უარესი არ დაგვმართეს.

ვისაც არ გახსოვთ, გაგახსენებთ, რომ რესპუბლიკური პარტიის აჭარის ორგანიზაცია, ფაქტობრივად, მაშინ დაიშალა, როცა მურმან დუმბაძემ ჯამეს აშენების წინააღმდეგ გაილაშქრა. მაშინ იგი ისე გარიცხეს პარტიიდან, თბილისში არც კი დაუძახეს. გარიცხვის ოფიციალური მიზეზი პარტიის ცენტრალურ ოფისთან ჯამეს აშენების წინააღმდეგ შეუთანხმებელი განცხადების საჯაროდ გაკეთება იყო. დუმბაძის შემდგომი ნაბიჯი ის გახლდათ, რომ რამდენიმე ასეულმა რესპუბლიკელმა მას მხარი დაუჭირა და პარტია დატოვა. მურმან ბატონმა კი საზოგადოებრივი მოძრაობა დააფუძნა. სწორედ ამ მოძრაობით და მისი მომხრე ყოფილი რესპუბლიკელებით შევიდენ ის და ახლანდელი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე „ქართულ ოცნებაში“.

ახლა აჭარის უმაღლეს საბჭოში და ბევრ სხვაგან სწორედ ის ხალხია დეპუტატები და დასაქმებულები, მაშინ დუმბაძეს რომ გაჰყვნენ და რესპუბლიკელთა რიგები დატოვეს. ფაქტობრივად, ბათუმში ეს პარტიული ორგანიზაცია თითქოსდა დაიშალა. აჭარის რესპუბლიკელებში ცნობილი სახეებიდან ახლანდელი ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი ჩავლეიშვილი და უმაღლესი საბჭოს კომისიის ახლანდელი თავმჯდომარე გიორგი მასალკინი დარჩნენ, დანარჩენი წვრილფეხობა დიდად ანგარიშგასაწევ ძალას არასდროს არ წარმოადგენდა და ისინი არც არავის გახსენებია.

აჭარის რესპუბლიკელების გახლეჩა ეს წინასაარჩევნო ფარსი იყო, დაბალრეიტინგულ პარტიას ელექტორატი რომ შეენარჩუნებინა, თუ მართლა იდეოლოგიური შეუთანხმებლობა, ამაზე ახლა ბათუმში ბევრს ლაპარაკობენ. არადა, საფუძველს მოკლებული არც ერთი უნდა იყოს და არც მეორე. მით უმეტეს, რომ თავის დროზე წაკიდებული და ერთმანეთის მლანძღავი რესპუბლიკელები ახლა პარლამენტშიც და აჭარის უმაღლეს საბჭოშიც ფრიად სიამტკბილობენ. არც უსუფაშვილ-დუმბაძეს აქვთ ერთმანეთში გასაყოფი რამე და არც მასალკინ-ჩავლეიშვილ-დუმბაძეს. არადა, გაყრის დროს ისინი ერთმანეთის მიმართ მკვახე-მკვახე გამოთქმებსა და შეურაცხმყოფელ ეპითეტებს არ იშურებდნენ. ერთმანეთის განსაქიაქებლად ინტერნეტსაც მოხერხებულად იყენებდნენ და მასმედიასაც.

ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ პოლიტიკაში მუდმივი მხოლოდ ინტერესებია და არა მეგობრობა, ან პარტიული ძმობა-ერთობა.

ისევ ჯამეს მშენებლობის პერსპექტივას დავუბრუნდეთ. ახლახან მურმან დუმბაძემ რომ განაცხადა, ჯამე უნდა აშენდეს, აბა არ უნდა აშენდესო, ეს უკვე ვიცით. „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს აჭარის პირველი კანონმდებლის ავთანდილ ბერიძის პოზიციაც აინტერესებთ. ამის თაობაზე თბილისიდან, ქუთაისიდან, რუსთავიდან, ზუგდიდიდან, აჭარის რეგიონიდან არაერთი მკითხველი დამიკავშირდა ტელეფონით. მეც ვაკმაყოფილებ თქვენს თხოვნას, ძვირფასო მკითხველებო და მცირე შემოკლებით გთავაზობთ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის **ავთანდილ ბერიძის** ინტერვიუს, რომელიც მან „საქართველოს რესპუბლიკას“ მისცა.

**— ბატონო ავთანდილ, ბათუმში უკვე გადაწყვეტილია ჯამეს მშენებლობა...**

— თქვენ ასე ფიქრობთ?

**— მე ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ ასე ფიქრობს პრემიერ-მინისტრი. ბატონ ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე დაყრდნობით გეუბნებით ამას.**

— არ ვიცი.

**— თუ არ იცით, შეგახსენებთ, რომ ბატონმა პრემიერ -მინისტრმა განაცხადა: ჯამე აშენდება, მაგრამ არა იმ ადგილას, რომელზეც იყო საუბარი და არა სულთან აზიზის სახელობისო. თქვენ როგორ ფიქრობთ, ბათუმლებს ვინმე შეეკითხება სად უნდა აშენდეს ჯამე?**

— ბატონო ამირან, ამას ბათუმელებს არავინ არ შეეკითხება. ამისთვის არსებობს საკრებულო. როდესაც ადამიანები დეპუტატს ირჩევენ, მაშინ მას მისი უფლებების დელეგირებას უკეთებენ. ამდენად, ამ საკითხს დეპუტატები გადაწყვეტენ. რაც შეეხება იმას, აშენდება თუ არა, არ ვიცი. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა, თუ მრევლის მოთხოვნა იქნება, აშენდებაო. ისე უნდა გითხრათ, რომ მრევლი ქრისტიანული ეკლესიისთვის დამახასიათებელი დასახელებაა. ორი პრემიერ-მინისტრი შეთანხმდა, აშენდებაო, როგორ აშენდება, ეს სხვა საქმეა. მე ასე წარმომიდგენია: მუსლიმანური აღმსარებლობის ადამიანები შეიკრიბებიან და მიმართავენ ადგილობრივ მმართველობას ჯამეს აშენების შესახებ. ისევე როგორც, მაგალითად, ჩემს სახლთან ახლოს, გორგილაძისა და გრიბოედოვის ქუჩების კუთხეში, შენდება ეკლესია. შეიკრიბა ხალხი, დაწერეს განცხადება, მიმართეს ბათუმის მერიას. მერიამ მოითხოვა შესაბამისი საბუთები მიწის მფლობელობის შესახებ, პროექტი, მობინადრეთა თანხმობა და შემდეგ გადაწყდა მშენებლობის საკითხი. რაც შეეხება დაფინანსებას. ისე, როგორც ეკლესია შენდება შემოწირულობებისაგან, ისე აშენდება ჯამეც.

მე წინააღმდეგი ვიყავი აზიზის სახელობის ჯამეს აშენებისა. წინააღმდეგი ვიყავი და ვარ უცხო სახელმწიფოსგან თავს მოხვეული რელიგიური დანიშნულების შენობის აშენებისა. ჩემთვის მიუღებელია ნაცვალგების პრინციპით ჯამეს მშენებლობა, ანუ მომიტეხე მჭადი და მოგიტეხავ ყველის პრინციპი აქ არ გამოდგება. ამასთან, ლაპარაკი არ უნდა იყოს იმის აღდგენაზე, რაც არ არსებობს. აზიზის სახელობის ჯამე ბათუმში არ არსებობს. ის, რაც არ არსებობს, არც შეიძლება აღდგეს. ჩვენ თავის დროზე შევეწინააღმდეგეთ იმას, რომ ვინმეს გახურებულ თავში არ მოსვლოდა აზრად იუნკრების საფლავზე აეშენებინა ჯამე, ან იქვე მახლობლად არსებული საცხოვრებელი სახლი დაენგრია და მშენებლობა დაეწყო. ამის წინააღმდეგი ვიყავი და ვარ დღეს. თუ ხალხი გადაწყვეტს ჯამეს მშენებლობას, ეს საკითხი ბათუმის საკრებულოსთან ერთად გადაწყდება და იგი კანონის სრული დაცვით წარიმართება. მე ამის გარანტიას გაძლევთ, — აცხადებს ავთანდილ ბერიძე.

„საქართველოს რესპუბლიკას“ ესაუბრა ბათუმის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე, რესპუბლიკელი **ირაკლი ჩავლეიშვილი:**

**— ბატონო ირაკლი, ემზადებით ჯამეს ასაშენებლად?**

— ჯერჯერობით, ამის თაობაზე საკრებულოში არანაირი წერილი არ შემოსულა. თუ მსგავსი იქნება, ვიმსჯელებთ, როგორც წესი და რიგია და კანონის შესაბამისად გადავწყვეტთ.

**— როგორც ვიცი, თქვენ ამ რელიგიური დანიშნულების შენობის აგების წინააღმდეგი არა ხართ. სად აშენდება, ამის თაობაზე თუ გაქვთ თქვენი მოსაზრება?**

— არა, მშენებლობის წინააღმდეგი არა ვარ. მაგრამ სად აშენდება, ამაზე ჯერჯერობით არ გვიმსჯელია. ან კი როგორ ვიმსჯელებდით, როგორც გითხარით, ჩვენთან არავითარი მოთხოვნა ამის თაობაზე, ან წინადადება არ შემოსულა.

**— ბათუმში მუსირებს აზრი, რომ გარკვეული ძალები ჯამეს ასაშენებლად ითხოვენ რუსთაველისა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში გამოთავისუფლებულ ტერიტორიას, სადაც ადრე ბათუმის მეექვსე საჯარო სკოლის შენობა იყო.**

— არა, ამის თაობაზე მე არაფერი არ მსმენია. ამდენად, ვერც რაიმე კომენტარს გავაკეთებ. ვიმეორებ, თუ შესაბამისი თხოვნა შემოვა, განვიხილავთ. ტერიტორიასაც ამის მიხედვით გამოვყოფთ. თუ იგი მერიის საკუთრებაში იქნება, ყველა გადაწყვეტილებას ჩვენ მივიღებთ. თუ ტერიტორია, სადაც მშენებლობას მოითხოვენ, ჩვენს დაქვემდებარებაში არ იქნება და მისი მფლობელი აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო გამოდგება, მისი გამოყოფის საკითხსაც სამინისტრო გადაწყვეტს. რაც ჩვენს კომპეტენციაში იქნება, ჩვენ იმაზე ვართ პასუხისმგებელი.

**ამირან კილურაძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის“ აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი**
**26.02.2013 წ.**



**P. S. ბათუმის მე-6 საშუალო სკოლის თანამედროვე კაპიტალური შენობა გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში აშენდა. იგი ქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მისი დემონტაჟის შესახებ ლაპარაკიც არ იყო, როცა ქალაქში გავრცელდა ხმები, რომ სასტუმრო „შერატონის“ მეპატრონემ მოითხოვა სკოლა დაენგრიათ და იმ ადგილას ჯამე აშენებულიყო, აქაოდა „შერატონში“ ბევრი მუსლიმანური აღმსარებლობის სტუმარი ჩამოდის და სალოცავი არა აქვთო. ისიც ითქვა, სასტუმროს მფლობელებს ის აღიზიანებთ, რომ იქვე წმინდა ბარბარეს სახელობის მოქმედი ეკლესიააო. ჰოდა, თუ ერთ მხარეს ეკლესიაა, მეორე მხარეს ჯამე იყოსო, ასე გადაუწყვეტიათ მავანთ. მოგეხსენებათ, „შერატონი“ ნაცმოძრაობისა და მისი ლიდერის საყვარელი ადგილია, მისი მფლობელი კი ამ ხალხთან ფრიად დაახლოებული პიროვნება. აკი მისი სახელი ბათუმში ერთ-ერთ ქუჩასაც კი ეწოდა. როგორც ჩანს, ამ კაცის ტოლი დამსახურება არც ერთ ცოცხალ ქართველ მამულიშვილს არ ჰქონია ქვეყნის წინაშე. ჯერჯერობით, მე არ ვიცი ფაქტი, საქართველოში ცოცხალი მოღვაწის სახელი მიენიჭებინოთ ქუჩისთვის. იმასაც უნდა შევეგუოთ ქართველები, უცხო ტომელებს რომ ჩვენებზე უფრო მეტად „ვცეთ პატივი“.**

**რა გიკვირთ, საქართველო ხომ საოცრებათა ქვეყანაა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს.**

**ა. კ.**

⦿ ალიან-ჩალიანი

## საკუთარი გუნდის წევრებს უღებდნენ ვიდეოს

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ამაზრზენი იყო ის, რაც, მან სამინისტროში არქივის სახით იხილა.**

**როგორც ღარიბაშვილმა „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა, წინა ხელისუფლების დროს შექმნილი იყო სამმართველო, რომელიც ვირუსებს ამზადებდა და პოლიტიკურ ოპონენტებს უგზავნიდა.**

**— მთელი არქივი დაგვხვდა სამინისტროში ჩამარხული პირადი ცხოვრების. საკუთარ გუნდის წევრებს უღებდნენ ვიდეოს, აუდიოს, ოჯახის წევრებს. ამაზრზენი იყო ის ყველაფერი, რაც მე ვიხილე, — განაცხადა ღარიბაშვილმა.**

**ამასთან, მინისტრმა საპატრულო პოლიციის პროექტის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი თანამედროვე მოდერნიზებული ქართული პოლიციისა. ღარიბაშვილმა სტუდენტებს შეახსენა, რომ პატრულის პროექტი ჯერ კიდევ 2004 წელს ბიძინა ივანიშვილის მიერ სრულად იქნა დაფინანსებული.**

**— ჩვენ არ ვაპირებთ ყველაფრის შეცვლას. იქ არის ბევრი რამ, რაც მე ძალიან მომეწონა და მისი გაუმჯობესება შეგვიძლია. მაგრამ არის ძალიან ბევრი ნაკლოვანება, ე.წ. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, სოდ-ი თუ სხვა, რომლებიც რეალურად არ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს. ისინი ასრულებდნენ პირდაპირ პოლიტიკურ დაკვეთებს. ეს არის ჩვენთვის მიუღებელი, — აღნიშნა ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ პოლიცია უნდა იყოს საზოგადოებაზე ორიენტირებული, რომელიც ქვეყანასა და ხალხს უნდა ემსახურებოდეს და არა ერთ კონკრეტულ ინდივიდსა და პოლიტიკურ პარტიას.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქი

**ბატონ ლეო ჩიქავას დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა. ცხოვრების დიდი, რთული და წინააღმდეგობრივი გზა მან სახელოვნად განვლო. მთელი ცხოვრება მიუძღვნა მეცნიერებას და პედაგოგიურ მოღვაწეობას. დიდ მეცნიერად ჩამოყალიბების ყველა საფეხური თანამიმდევრულად, შეუპოვრად და მიზანმიმართულად გაიარა. ცხოვრებისეული ყველაფერი გამოსცადა. საბოლოოდ, ცხოვრების ზიგზაგისებურ გზაზე ამაყად იარა და ყველა გამოწვევას მყისიერად უპასუხა, და დღეს საზოგადოებაში კეთილსინდისიერების, ფართო ერუდიციის, მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსის კაცის, ურთულესი პრობლემების დიდი მკვლევარის, უმაღლესი რანგის პედაგოგის და მეცნიერების აღიარებული ორგანიზატორის რეპუტაციით ორიენტირ-სიმაღლედ არის წარმოდგენილი. იუბილარი, ცნობილი საზოგადო მოღვაწეცაა. მას, როგორც იმდროინდელი უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ერთ-ერთი ხელისმომწერი.**

ბატონმა ლეომ დაამტკიცა, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანური ღირსებებით გამორჩეული პიროვნებაა, რომელმაც სახელოვნად ატარა ოჯახის კაცის, გვარის კაცის, თემის კაცის, ქვეყნის კაცის ილიასეული გაგების ტიტული და უკვე ასაკოვანი ბრძენი კაცი ყოველმხრივ ავლენს ზოგად-კაცის ყველა თვისებას, გვიჩვენებს ადამიანური ღირსების დაცვის სანიმუშო მაგალითს. ეს კი დღევანდელ პირობებში მოქალაქეობრივი გმირობის ტოლფასია.

ბატონი ლეოს სამეცნიერო მოღვაწეობა მრავალმხრივია, მისი კვლევის სფერო მრავალწახნაგოვანი, თემა-პრობლემა აქტუალური, ეროვნულ და ზოგად-საკაცობრიო მნიშვნელობას მისადაგებული. მხედველობაში გვაქვს ეკონომიკური თეორიის, დემოგრაფიული მდგომარეობის, სასურსათო პროდუქტების წარმოების, ინოვაციური ეკონომიკის აქტუალური პრობლემების სისტემური კვლევა. ბატონი ლეოს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები მიეძღვნა საქართველოში სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განვითარებას. ავტორის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვამ მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას. ბატონი ლეო უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ინტენსიურად იკვლევს ქვეყნის უმწვავესი პრობლემის — დემოგრაფიული სიტუაციის კანონზომიერებებს. მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეფცია. მის სახელთანაა დაკავშირებული მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩამოყალიბება და მისი წარმატებული საქმიანობა. ინსტიტუტის კოლექტივმა შეძლო დემოგრაფიული პრობლემების კვლევის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მიერ წამოწყებული საქმის თანამიმდევრულად გაგრძელება და მათი შესწავლა-განზოგადების მყარ მეცნიერულ საფუძველზე აყვანა.



ბატონი ლეოს დემოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილ მრავალ ნაშრომს შორის გამოირჩევა ნოვატორული სულისკვეთებით შექმნილი მონოგრაფია „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა“. ავტორმა ნაშრომში შესაბამისი არგუმენტაციით დაასაბუთა ტერმინი „დემოგრაფიის“ „დემოლოგიით“ ჩანაცვლების აუცილებლობა. ავტორის აზრით, „მეცნიერების ერთ-ერთ ფუნდამენტურ დარგს — დემოგრაფიას ფრიად თვალსაჩინო ადგილი უკავია საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში და ტერმინ „დემოგრაფიას“ არ ძალუძს ამ ფართომასშტაბიანი მეცნერების შინაარსობრივი დატვირთვის სრულად ასახვა. ამიტომ მიზანშეწონილია მის ნაცვლად გამოყენებულ იქნას ტერმინი „დემოლოგია“. ბ-ნმა ლეომ გვიჩვენა დემოგრაფიულ კანონთა მთელი სისტემის, ეკონომიკური და დემოგრაფიული კანონებისა და კატეგორიების ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგანპირობებულობის სწორად ახსნის აუცილებლობა.

ამ მონოგრაფიას, როგორც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ 2012 წელს გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ ნაშრომს, სავსებით დამსახურებულად მიენიჭა ფილიპე გოგიჩაიშვილის აკადემიური სახელობითი პრემია და ლაურეატის დიპლომი.

დღეს ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინტეგრირებული ცოდნის, როგორც განვითარების ფაქტორის პრობლემას. იგი უაღრესად აქტუალური გახდა XX საუკუნის ბოლო წლებში. საზოგადოებრივ აზროვნებაში, როგორც ასეთში რადიკალური ძვრები მოხდა, პარადიგმები შეიცვალა, მასშტაბები გაფართოვდა, ძველი დოგმების ახლით ჩანაცვლებაც, თითქოს შეუმჩნევლად ხდება. ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა საზოგადოებრივ ურთიერთობათა რთული პროცესი უფრო წინააღმდეგობრივი გახადა: მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს მნიშვნელოვანწილად ჩამორჩა ეკონომიკური მეცნიერება (საერთოდ საზოგადოებრივი მეცნიერება). დღესაც არ არის თუნდაც მიახლოებით შეთანხმებული აზრი მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, საზოგადოებრივი პერიოდიზაციის, საერთოდ პროგრესის თავისებურებებისა და ტენდენციების, განვითარების ფაქტორების როლის შესახებ. როგორც იტყვიან წყალი შეუდგა წარმოების ტრადიციული ფაქტორების როლის შესახებ დღემდე არსებულ შეხედულებებს.

ბ-ნი ლეოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თამამად მოკიდა ხელი თითქოს საყოველთაო, მაგრამ ჯერ კიდევ არსებითად შეუსწავლელი პრობლემის კვლევას. თემის ირგვლივ შექმნა ინფორმაციული მასივი, მეცნიერების სხვადასხვა სკოლის მიერ სხვადასხვა დროს გახმოვანებული შეხედულებებისა და პოზიციების შეჯერებით საკუთარი მოსაზრებები და დასკვნები წარმოადგინა მონოგრაფიაში „ინოვაციური ეკონომიკა“. ამ ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ თანამედროვეობის თემა — პრობლემა განხილულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უკანასკნელი წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით და იძლევა თეორიული და პრაქტიკით ნაკარნახევი პრობლემების ერთ მთლიანობით პროცესად განხილვა-ანალიზი-შეფასების, ანუ თეორიისა და პრაქტიკის სიმბიოზის სანიმუშო მაგალითს.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ მთავარ საზოგადოებრივ სიმდიდრედ, უმნიშვნელოვანეს ფასეულობად დღეს გვევლინება ცოდნა, საერთოდ ადამიანის ინტელექტი და არა წიაღისეული ან ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური დოვლათი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წარსულში. დამაჯერებელია ავტორის მოსაზრება ცოდნის როგორც სპეციფიკური საქონლის შესახებ.

გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ აღნიშნული ნაშრომი საიმედო წყაროა ცოდნის, როგორც საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის როლისა და მნიშვნელობის სწორად გაცნობიერებისათვის.

დიდია ბატონი ლეოს ღვაწლი ახალგაზრდა თაობის აღზრდაში. იგი მრავალი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორია, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელი და კონსულტანტი, სამეცნიერო ჟურნალებისა (მათ შორის საერთაშორისო) და გამოცემების რედკოლეგიების წევრი, სამეცნიერო შრომების რედაქტორი, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმების, სემინარების) ორგანიზატორი, კონცეფციებისა და აქტუალურ პრობლემებზე მნიშვნელოვანი პროექტების ავტორი, თანაავტორი და მონაწილე.

მას მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი ლეოს — ქართველ ეკონომისტთა თავკაცის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოღვაწეობა. აკადემია, რომელიც უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერ-პროფესიონალებს აერთიანებს, დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში. მის საერთო ძალისხმევას მიზანმიმართულად წარმართავს აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი ბ-ნი ლეო.

საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოებაში ბატონ ლეოს იცნობენ როგორც მაღალი ზნეობრიობით გამორჩეულ კაცს: პიროვნება-კოლორიტს, მეგობრობის ეტალონს, საზოგადო მოღვაწეს, ქართველ ეკონომისტთა სამაგალითო ლიდერს, დიდ პედაგოგს, სასიქადულო მასწავლებლების ღირსეულ მოსწავლეს, მეცნიერების ინტერესების ერთგულ დამცველს, ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის თავდადებულ მამულიშვილს.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა პატრიარქს — ბატონ ლეო ჩიქავას ვულოცავთ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ დღეგრძელობასთან ერთად წარმატებულ მოღვაწეობას.

**ნოდარ ჭითანავა,**
**პროფესორი**

**ეკონომიკური ზრდა**

# მოლოდინი და პერსპექტივა

**მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ბოლო ორი წლის მანძილზე, როგორც იქნა, შენელდა და ბევრ ქვეყანაში გარკვეული ზრდაც კი დაფიქსირდა. თუმცა, სულ რამდენიმე დღეა, რაც ექსპერტებს კვლავ გაუჩნდათ მღელვარების მიზეზი: წამყვანი 34 ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ერთიანი მოცულობა სადღეისოდ 0,2 პროცენტით შემცირდა, რაც 2009 წლის შემდეგ პირველი შემთხვევაა. რეგიონების მიხედვით კი ამ მხრივ არასახარბიელო ლიდერობა ევროპას უკავია, სადაც ამ მაჩვენებელმა 0,6 პროცენტი შეადგინა.**

ამ ფონზე მეტად ოპტიმისტურია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადება, რომ წლეულს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა სულ მცირე 6 პროცენტი იქნება, ხოლო გაისად ეს მაჩვენებელი უკვე ორნიშნა რიცხვით გამოისახება. მეტიც: მთავრობის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ წლევანდელი ეკონომიკური ზრდა, რომელიც ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონშია ასახული და რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის საფუძველზე განისაზღვრა, დაგეგმილ 6 პროცენტსაც გადააჭარბებს.

ამასთან დაკავშირებით თქვენი ყურადღება, პატივცემულო მკითხველო, ერთ გარემოებაზე მინდა შევაჩერო. ქართული საზოგადოების უკიდურეს პოლიტიზებაში ყველანი კარგად დავრწმუნდით ბოლო ორ ათწლეულზე მეტი ხნის მანძილზე, ანუ მას შემდეგ, რაც ქვეყანამ მეოცე საუკუნეში ხელმეორედ მოიპოვა დამოუკიდებლობა. პოლიტიკაზე ვლაპარაკობთ ყოველდღე და, ფაქტობრივად, ყველგან — შინ, გარეთ, სამსახურში, ჭირსა თუ ლხინში, მოცალეობის ჟამს და თუ ვინმე ამ თემას პრინციპულად საერთოდ გაურბის, უნებლიეთ გარშემო მყოფთა ლაპარაკი, ანდა ტელევიზიის გადაცემა მაინც ესმის, რასაც ვერსად გაექცევა. დაახლოებით იგივე ხდება ეკონომიკასთან, ფინანსებთან, ქვეყნის ბიუჯეტთან და ა.შ. მიმართებაში: ბოლო წლების მანძილზე ფინანსური და ეკონომიკური კატეგორიებით ის ხალხიც ოპერირებს, რომლებმაც ცოტა ხნის წინათ მათი არსებობის შესახებ არც კი იცოდნენ, ან, უკეთეს შემთხვევაში, უაღრესად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მათზე.

ამის თაობაზე იმიტომ ვლაპარაკობ ამდენს, რომ ცოტა ხნის წინათ ჩემმა ახლობელმა, რომელიც პროფესიული განათლებით და ინტერესთა სფეროთი ეკონომიკისგან ძალიან შორსაა, ეკონომიკურ ზრდასა და მსოფლიოში წარმოების განვითარების პერსპექტივებზე ლამის მთელი ლექცია წამიკითხა. კერძოდ კი მისი „მღელვარების“ მიზეზი ის იყო, რომ საქონლის მოხმარება კი არის და იქნება, მაგრამ მისი მუდმივად ზრდა, რაზეც არა მარტო ცალკეული ქვეყნების, არამედ მთელი კაცობრიობის მომავალია დამოკიდებული, შეუძლებელია. მაშ, რა გველის ყველას წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით?



და მართლაც — რას გვიქადის მომავალი, განა შეიძლება მსოფლიო ეკონომიკა დაუსრულებლად იზრდებოდეს, რამაც დედამიწის მოსახლეობის კეთილდღეობის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი დონე უნდა უზრუნველყოს? ეს კითხვა ახალი სულაც არ არის და მასზე პასუხის გაცემას ეკონომისტები მრავალი ათწლეულის მანძილზე ცდილობენ. თუ ნობელის პრემიის ლაურეატის, მსოფლიოში, ამ, ალბათ, ყველაზე პრესტიჟულ სამეცნიერო ტიტულის მატარებელ ეკონომისტ რობერო სოლოუს მიერ შექმნილ მათემატიკურ მოდელს ვერწმუნებით, რომელიც მან მე-20 საუკუნის შუა ხანებში შეიმუშავა და რისთვისაც ეს საპატიო ჯილდო მას 1987 წელს მიანიჭეს, **თეორიულად ეკონომიკური ზრდა მანამდე შეიძლება გაგრძელდეს, ვიდრე კაცობრიობა იარსებებს.** რობერტ სოლოუს მიერ მათემატიკურ გამოსახულებებში ჩართული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი სამი პარამეტრით — **შრომით, კაპიტალითა და ტექნიკური პროგრესით** — ხასიათდება.

იხ. 6 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# დაუკონტრაქტებელი დამნაშავენი და დაკონტრაქტებული ნასაქტივისტები

## უგულავამ მხოლოდ 764 კაცი „დაასაქმა“, მერაბიშვილმა – 21837?!

**თურმე, რას არ მოესწრები კაცი ამ უცხვირპირო წუთისოფელში. შორიდან არ დავიწყებ, ამ ორიოდე კვირის წინანდელ ამბავს გავიხსენებ, რომელიც ისევე როგორც ნაცების ნახელავი ბევრი სხვა მოარული ამბავი, ჩვენს სახელოვან ნამინისტრალ და ნაპრემიერალ ვანო მერაბიშვილთან ბუქსირზე გამობმული ავტომანქანასავით არის „მიწებებული“ იმ კაცთან, რომელსაც ადრე სიტყვას რომ ვერ დააძვრევინებდი, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ რატომღაც რომ ენად არის გაკრეფილი. ჰოდა, პრეზიდენტის წამხედურობით, ორატორული ხელოვნებაში ბოლო დროს გავარჯიშებულმა ნაპრემიერალმა, ისე რომ არც დაფიქრებულა, მძიმე ბრალდება წაუყენა ივანიშვილის ხელისუფლებას: ერთი ამათ უყურე, სამ თვეზე მეტია, რბილ სავარძლებზე წამოსკუპდნენ და დღემდე კაციშვილი არ დაუსაქმებიათ. აბა, რისთვის მოიწევდნენ, რო მოიწევდნენ მთავრობაში, თუ ხალხისთვის მიცემულ მსუყე-მსუყე დაპირებებს სანაგვეზე მოისროდნენო?.**

რა თქმა უნდა, ვანოს ის აღარ უთქვამს, ადრე ჩვენ რომ ვისხედით მაგ სავარძლებში, ზუსტად მასევე ვიქცეოდითო, მაგრამ, ეტყობა, გული იმით გაიკეთა, ჩვენგან ნაწრთობი მრევლი ამას თავისთავად მიხვდებაო და ყოველი შემთხვევისთვის, წასახალისებლად, მას ახალი მონაცემიც მიაწოდა: **მას შემდეგ, რაც „მეოცნებენი“ გახელისუფლდნენ, ქვეყანაში უმუშევართა არმია დამატებით კიდევ 74 ათასი კაცით გაიზარდაო.** ამჯერად არ უთქვამს, მაგრამ იგულისხმებოდა — ცუდ დროს წამოგვეწია ეს არჩევნები, თორემ, დასაქმების სამინისტრო უკვე შექმნილი გვქონდა, ხალხში გასული იყავით, უმუშევართა სიებს ვაზუსტებდით და ყელში რომ არ გვწვდომოდნენ და ხელიდან არ გამოეგლიჯათ, ეს საქმეც, ისევე როგორც ბევრი სხვა პრობლემა, აქამდე ათასგზის მოთავებული გვექნებოდაო.

რას ერჩი, იგულისხმებოდა-მეთქი, ეს მე მივაკერე, თორემ, როგორც ირკვევა, ბატონი ვანო იმ პერიოდში, პრემიერ-მინისტრად რომ დააწინაურეს და სოფელ-სოფელ გახვითქული დარბოდა, თურმე, უმუშევრებს დაეძებდა, მათთან კონტრაქტებს აფორმებდა და ათასობით ადამიანს ასაქმებდა. ეს სრულიად შემთხვევით მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მერაბიშვილი სამართალდამცავებმა დედაქალაქში არაერთგზის დაკითხვის შემდეგ ქუთაისის სამხარეო პროკურატურაში დაიბარეს და ხალხის საიდუმლოდ დასაქმების გამჟღავნება მოსთხოვეს.

ეს საქმე კიდევ დიდხანს შეიძლებოდა ყოფილიყო გასაიდუმლოებული, იქაური პროკურატურის მუშაკებს შექმნილ ვითარებაში „გონივრული ეჭვი“ რომ არ შეპარვოდათ: **ამ გაჭირვების ჟამს, როცა ივანიშვილის მთავრობას, ვანოს მტკიცებით, ერთი კაციც ვერ დაუსაქმებია, „ნაცმოძრაობის“ ამჟამინდელ „გენსეკს“ პრემიერობის დროს გაწეული საგმირო საქმენი რატომ უნდა გაესაიდუმლოებინა?** კიდეც რომ მოესურვებინა და დაემალა, ვითომ კახეთის გუბერნატორიც, რომელიც ვანოს ქუთაისში კუდის ამწევად გააყოლეს, პროკურატურას ასეთ მიღწევას დაუმალავდა და ცოტათი მაინც არ წაიტრაბახებდა? როგორ გეკადრებათ, ბატონებო, ჭიაბერაშვილმა დედაქალაქში მინისტრობის შემდეგ ძლივს მივარდნილ პროვინციაში სამუშაო იშოვა და ივანიშვილის ხათრით ამას ასე იოლად შეელეოდა?




ჰოდა, დაკითხვიდან გამოსული „გენსეკი“ და გუბერნატორი აკი გაკვირვებულნი და მოულოდნელი მოულოდნელობისგან ფერწასულნიც ჩანდნენ: ამათ რა უნდა ელაპარაკოს კაცი, — აქნევდნენ თავებს აქეთ-იქით, — იმის მაგივრად, რომ მადლობა გვითხრან გაჭირვებული ხალხის დასაქმებისათვის და ჩვენს მიერ დაწყებული თაოსნობა თავად გააგრძელონ, აქეთ გვედავებიან და დაპატიმრებით გვემუქრებიან, იმ ერთი ოსტატისა არ იყოს, მკლავი რომ მოჭრეს, რატომ კარგი აგიგიაო.

ამათაც ყველაფერი, ანით დაწყებული და ჰაეთი დამთავრებული, ისე ჰქონდათ დაპროგრამებული და გათვლილ-გაანგარიშებული, რომ კაცი წუნს ვერ დასდებდა. არა ვისიმე ხუშტურით, არამედ მთავრობის დადგენილებით, 2012 წლის 5 ივლისს ოფიციალურად დამტკიცდა „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამა“, რომლის ფარგლებში თავდაპირველად დაახლოებით 3 ათასი კაცი დაასაქმეს, როგორც სპეციალური აგენტები. მათ ჩაუტარდათ ტრენინგი, რომ დაედგინათ, ვის სჭირდებოდა სამსახური. მე თქვენ გეტყვით, მსგავსს ვერაფერს მიაგნებდნენ, ქუჩა-ქუჩა, უბან-უბან მოარულებს წინ იმდენი მსურველი გადაუდგათ, რომ თვლას ვერ აუდიოდნენ. ამიტომაც გადაწყვიტა მთავრობამ იმ 3 ათასისთვის 21 837 კაცი კიდევ დაემატებინა და რახან დაიწყო, საქმე ბოლომდე მიეყვანა. ამ მიზნით ჯანდაცვის სამინისტროს (მინისტრი — ჭიაბერაშვილი) ბიუჯეტიდან დამატებით 6 მილიონი ლარი გამოეყო, თითოეულ დასაქმებულთან გაფორმდა „კონტრაქტი“ და მიეცა შესაბამისი დავალება. ერთი ეგ არის, რადგან იმ პერიოდში არჩევნები, იყო კარსმომდგარი, დავალების მიმართულება ოდნავ შეიცვალა: „დაკონტრაქტებულებს“ იმდენად უმუშევართა აღრიცხვაზე არ უნდა ეზრუნათ, რამდენადაც პრეზიდენტ სააკაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრების ორგანიზებაზე, ბროშურებისა და ფლაერების დარიგებაზე, პლაკატების გაკვრაზე, ნაცების პოლიტიკის პროპაგანდასა და უამრავ სხვა რამეზე, რაც კი მიშნაცებს არჩევნებში უეჭველ გამარჯვებას მოაპოვებინებდა. ანაზღაურება? ამის პრობლემა არავის ექნებოდა, მივიდოდნენ სექტემბრის ბოლოს „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში და ერთი თვის „ხელფასს“ (240 ლარს) უკლებლივ ჩაიჩხრიალებდნენ.

ითქვა და ასეც მოხდა. როგორც გამოძიებამ დაადგინა, იმ „დაკონტრაქტებული“ 21837 ადამიანიდან თითოეულმა აიღო 240 ლარი, ანუ საერთო ჯამში — 524088 ლარი. ყველა დაკითხულმა დაადასტურა, რომ მათ ამ პროგრამის ფარგლებში არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ, გარდა არჩევნებში ნაცმოძისა და მისი თავკაცების ხოტბა-დიდებისა. ისე, კაცმა რომ თქვას, ამაზე უკეთესი რა უნდა მოეფიქრებინათ მიშნაცებს — ხალხი ფაქტობრივად არაფრით გადაუტვირთავთ, ფულები კი ჩამოურიგეს, თანაც არა საკუთარი ჯიბიდან, არამედ — სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აბა, ივანიშვილივით ქარაფშუტულად ხომ არ მოიქცეოდნენ, საკუთარი მილიარდებით რომ აპირებდა არჩევნების მოგებას. კიდევ კარგი, ნაცები დროულად ჩაერივნენ საქმეში და ივანიშვილს საიმედოდ გადაუკეტეს არჩევნების გაყალბების ყველა ფინანსური ხვრელი, თორემ ახლა ხომ პროკურატურა მსგავს ბრალდებას „ქართული ოცნების“ თავკაცსაც წაუყენებდა(?!).

ვანოს რა გამოეპარება, განა სხვაზე ნაკლები ფული ჰქონდა, მაგრამ სამართალდარღვევისა მოერიდა და თბილისის მერის მიერ ხალხის დასაქმების კარგად აპრობირებული სქემა გამოიყენა. გიგი უგულავამ ხომ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ მიაგნო იმას, რასაც ნაპრემიერალის ასაკმოძალებული აზროვნება გვიანღა მისწვდა. ბატონმა გიგიმ მაშინ, ვინმეს იგი სახელმწიფო ქონების გაფლანგვაში რომ არ დაედანაშაულებინა, მიზეზი გამონახა. თურმე, იმ პერიოდში ძალიან ჭირდა ნაგვის ბუნკერების აღების აუცილებლობაში მოსახლეობის დარწმუნება და ქალაქის მერიამ ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემა ნაციონალი აქტივისტების უანგარო დახმარებით გადაჭრა. აბა, რა უნდა ექნა, ნაცმოძრაობის აქტივისტების პატივმოყვარეობას გაფრთხილებოდა, დიდი ხვეწნა-მუდარით ამ უმადურ ღონისძიებაში არ დაესაქმებინა და თბილისელები ვირთხებისთვის შეეჭმევინებინა?

ამიტომ იყო, გიგი უგულავა, ამ ორიოდე დღის წინათ, ვიდრე წაყენებული ბრალდების მოსასმენად საგამოძიებო ორგანოში შევიდოდა, მხარდასაჭერად მისულ ნაციონალებს წამებული რაინდის სახით რომ წარუდგა: **ხედავთ, ხალხო, რა ხდება? ივანიშვილის დიქტატორული ხელისუფლება, იმის მაგივრად, რომ წინასაარჩევნო დაპირებები შეასრულოს, მედავება, 764 კაცი რატომ დაასაქმეო! თავად დასაქმებულებს კი იმაში ედავებიან, რატომღა ხართ ნაცები და არა მეოცნებეებიო...**

ერთი სიტყვით, ხელისუფლებისგან წამებულ გიგის არ უთქვამს, მაგრამ იგულისხმებოდა: გმირები ვართ, მაგრამ დამნაშავეებად გვნათლავენო. აქციის რომელიღაც მონაწილეს მსხვილი ასოებით გამოყვანილი მოწოდება აღემართა: გიგი, არ დაუთმო თბილისი ივანიშვილს!

**ერიჰაა, გავიფიქრე, ეტყობა, ბიძინა ივანიშვილი ჭორვილაშია გამაგრებული და თბილისზე გამოსალაშქრებლად ემზადება-მეთქი, მაგრამ გამახსენდა, რომ ნაცები ბურანში არიან და დავმშვიდდი. ჰო, ეგრეა, რა ხანია პოლიტიკის ძილქუშში არიან, მაგრამ მიცვალებულები რომ არ გვეგონონ, ხმამაღლა და გაბმულად იმიტომ ხვრინავენ.**

ოთარ ხუციშვილი

⦿ ეკონომიკური ზრდა

# მოლოდინი და პერსპექტივა

(მეხუთე გვერდიდან) მეცნიერმა დაამტკიცა, რომ **სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა** (შესაბამისად, მისი მატება ან კლება) **არა მხოლოდ კაპიტალსა და შრომაზე, არამედ ხარისხზეცაა დამოკიდებული, რომელიც პირდაპირ კავშირშია ტექნიკურ პროგრესთან და მის დონეს განაპირობებს.**

თავის ნაშრომებში რობერტ სოლოუ ამტკიცებს, რომ მუდმივი ეკონომიკური ზრდა კაცობრიობას გარანტირებული ექნება, თუკი აღნიშნული სამი პარამეტრისგან შემდგარი მოდელის გარკვეული პირობების დაცვით გამოყენებას შეძლებს. ვიმეორებ: ესაა ნობელიანტი რობერტ სოლოუს მოსაზრება, თუმცა, ახლანდელ ვითარებაში, როცა მსოფლიოს ბოლო თითქმის 80 წლის მანძილზე ყველაზე მძლავრი და მძაფრი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი დაატყდა თავს, ავტორიტეტული ეკონომისტების დიდი ჯგუფი, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი რობერტ გორდონი რობერტ სოლოუს მოდელს ეჭვის თვალით უცქერის.

რობერტ გორდონი, ვიწრო ეკონომიკური ინტერესების თვალსაზრისით, დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური განვითარების სპეციალისტია, რომელმაც მისი ისტორია ბოლო 750 წელზე მეტი ხნის მანძილზე ზედმიწევნით შეისწავლა. მის ინტერესთა სფეროში ასევეა მოქცეული მსოფლიო ეკონომიკის ლიდერის — ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური განვითარება. მეცნიერი აცხადებს, რომ მე-18 საუკუნის შუა ხანებამდე მსოფლიოში, უფრო სწორად კი ინგლისში, ეკონომიკური ზრდა მხოლოდ უმნიშვნელო ტემპით ხასიათდებოდა (წელიწადში ისედაც სუსტი, ფაქტობრივად, არარსებული სამრეწველო ბაზის 0,2 პროცენტით მატების უგულებელყოფა სავსებით დასაშვებია) და იგი მკვეთრად მხოლოდ 1750 წლიდან, სამრეწველო რევოლუციის შემდეგ დაჩქარდა საგრძნობლად. ახლა კი, ტექნოლოგიური ბუმის მიუხედავად, რომელიც მრეწველობის ფაქტობრივად ყველა სფეროში ძალუმადაა შეჭრილი, ეკონომიკური განვითარების ტემპი მთელ მსოფლიოში კვლავ შენელდა. მაგალითად, ბოლო ნახევარი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში იგი ამჟამად ნულოვან ნიშნულზეა. ამასთან დაკავშირებით დოქტორი გორდონი აზრს გამოთქვამს, რომ ამერიკის ეკონომიკური ზრდა წელიწადში 0,2 პროცენტის ფარგლებში მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის შემდეგაა მოსალოდნელი.

რობერტ გორდონის და ზოგიერთი მისი კოლეგის აზრით, **ის, რაც კაცობრიობის ისტორიაში ბოლო ორნახევარი საუკუნის მანძილზე ხდებოდა (ლაპარაკია, ცხადია, მრეწველობის უსწრაფეს განვითარებასა და, შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდაზე), განსაკუთრებული, საგანგებო მომენტია, რომლის მსგავსის გამეორება ისტორიულ პერსპექტივაში ნაკლებად სავარაუდოა.**

რა მომავალი ექნება ქართულ ეკონომიკას ზემოაღნიშნული პერსპექტივების გათვალისწინებით, რას მოუტანს ქვეყანას, ვთქვათ, იგივე ტურიზმის განვითარება, ანდა სოფლის მეურნეობის ფეხზე წამოყენება, რამდენად კონკურენტიანი იქნება საგარეო ბაზარზე სამამულო წარმოების სხვადასხვა სახის პროდუქცია, ეს, ვფიქრობ, უახლოეს 3-4 წელიწადში უნდა გამოჩნდეს.

ოთარ ტურაბელიძე

⦿ ინფორმაცია

### დაზღვევის პროგრამაში 2 მლნ მოქალაქე მოხვდება

**დაზღვევის საყოველთაო პროგრამის ამოქმედების შედეგად, შესაძლოა, პოლიკლინიკებისადმი მოქალაქეთა მიმართვიანობა გაიზარდოს. ამის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს სამინისტროში განუცხადა.**

**მინისტრმა 28 თებერვლიდან საყოველთაო დაზღვევის ამოქმედებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.**

**სერგეენკოს თქმით, წლევანდელი ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 635 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც მოხდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსება. მინისტრმა აღნიშნა, რომ პროგრამაში 2 მლნ მოქალაქე მოხვდება, რომელთაც დღეის მდგომარეობით სამედიცინო დაზღვევა არ გააჩნიათ. პროგრამაში კი პირები სტაციონარებისა და პოლიკლინიკების მიმართვის შედეგად მოხვდებიან.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ლადო პაპავა: „განათლებისა და მეცნიერების რეფორმას უფრო მეტი სიფრთხილე და გააზრება სჭირდება!“

## „დვალის კომისიის“ ნაცრისფერი დეტალები — რა ემუქრება მეცნიერებას?



**— „თუ არ იქნება მეცნიერება, ქვეყანა ვერ განვითარდება“ — ასეთი განცხადება გააკეთა ჯერ კიდევ შარშან განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ გიორგი დვალმა. ბუნებრივია, ამ აქსიომასთან სადავო არავის არაფერი აქვს, მაგრამ, მთავარია, რა გზით შეიძლება დასახულ მიზნამდე მისვლა. ყველა რეფორმატორს, რომელსაც კი შეხება ჰქონია ჩვენი ქვეყნის განათლებასა და მეცნიერებასთან, იდეა-ფიქსად სწორედ ეს მოსაზრება ჰქონდა, მაგრამ აღებულმა გეზმა აბსოლუტურად სხვა შედეგებამდე მიგვიყვანა. რა იქნება ახლა? აღმოჩნდა, რომ უკვე თავშივე უამრავ კითხვას აჩენს „დვალის კომისიის“ ახლებური ხედვა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების განვითარების მორიგ კონცეფციათა ერთობლიობას წარმოადგენს, და რომლის შესახებ გულგრილად ვერ საუბრობს პროფესორი ლადო პაპავა.**

**— ბატონო ლადო, როგორც ვიცით, ცნობილი ფიზიკოსის გია დვალის ხელმძღვანელობით შეიქმნა განათლებისა და მეცნიერების სახელმწიფო კომისია. კომისიის საინიციატივო ჯგუფმა მთავარ მიზნად დაისახა ერთიანი სააზროვნო სივრცის შექმნა, რაც ასევე გულისხმობს მეცნიერების მხარდაჭერას. თქვენ ახლა ხელთ გაქვთ კომისიის მასალები. მასში რამდენად სწორად არის დანახული და აღქმული ის პრობლემები, რაც საქართველოს მეცნიერებას აქვს?**

— დავიწყოთ იმით, რომ საქმე გაცილებით რთულადაა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ჯერჯერობით სერიოზული კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა. მთავრობა რომ არ ჩქარობს, ამას თავისი დადებითი მხარე აქვს, რადგან განათლება და მეცნიერება ფაქიზი სფეროა, თუმცა ის, რომ მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული ამ სფეროს განვითარების კონცეფცია, ეს უკვე იწვევს საზოგადოების გაღიზიანებას.

სანამ მთავრობა ფიქრობს როგორ გარდაქმნას განათლება და მეცნიერება არაერთ უნივერსიტეტში სიტუაცია უარესდება. მაგალითები საკმარისზე მეტია, მაგრამ აქ მხოლოდ ერთზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას. **ორიოდე კვირის წინათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი და მის დირექტორად ოდიოზური პიროვნება, ყოფილი რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა დაინიშნა...** ამას კი ნამდვილად არავინ ელოდა საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ. ნუ გაგვიკვირდება, რომ ამგვარი მოვლენები საზოგადოებაში უარყოფითად აღიქმება!

რაც შეეხება დვალის ე.წ. კომისიას, უნდა გამოვყო საკითხთა ოთხი წყება: ფორმალური, შინაარსობრივი, ზნეობრივი და ორგანიზაციული.

**— საინტერესოა, რატომ ასეთი ფორმულირება „დვალის ეგრე წოდებული კომისია“, რას გულისხმობთ?**

— მოგახსენებთ, მართალია, ამ ჯგუფს ჰქვია განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კომისია, მაგრამ ვერანაირი ნორმატიული აქტი ვერ მოვიძიე, რითაც ეს კომისია იქნებოდა დამტკიცებული. პრაქტიკულად ამ კომისიის შესახებ განცხადება მაშინ გაკეთდა, როცა „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, მაგრამ ფორმულირება „დვალის კომისია“ მხოლოდ ყოფითი ტერმინია, რადგან ის სამართლებრივად არ არსებობს. მით უფრო გაუგებარია, კომისიის საინიციატივო ჯგუფის (ასე დაარქვეს ავტორებმა რიგით მესამე დოკუმენტს) არსებობა: რისი საინიციატივო ჯგუფია — კომისიის თუ რეფორმის? კონცეფციასაც, რომელიც ამ ჯგუფმა შექმნა, არ აქვს სამართლებრივი სტატუსი. შესაბამისად, არავის გააჩნია რაიმე ფორმალური პასუხისმგებლობა. რეალურად მხოლოდ ორი ინსტიტუტი არსებობს, რომელსაც მოუწევს პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღება. ესენი არიან: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტი.

**— კიდევ უფრო საინტერესოა, დოკუმენტის შინაარსობრივი მხარე, რომლის მიმართაც პრეტენზიები გაგაჩნიათ?**

— ამ ჯგუფმა მოამზადა სამი დოკუმენტი, რომლიც ისეთი ცუდი ქართულით არის დაწერილი, რომ წაკითხვა შეუძლებელია. როცა ასეთი პასუხისმგებლობის დოკუმენტს ქმნი, ასეთი სახით საზოგადოებისთვის მიწოდება, ცუდია. კონცეფციაში საუბარია იმაზე, რომ უნდა იყოს დაცული სამი პრინციპი: აკადემიური თავისუფლება, აკადემიური მიუკერძოებლობა და აკადემიური ხარისხი. მიდგომა აბსოლუტურად მართებულია, ოღონდ საკითხავია, როგორ იქნება ეს რეალიზებული...

**— აქამდე ვინმემ უარყო ეს სამი პრინციპი, იდეაში მაინც?**

— წინა ხელისუფლების დროს არც ერთი პრინციპი არ იყო დაცული და სწორედ ამან გააჩინა „ჩარეცხილი პროფესურის“ თემა. კარგია, რომ ახლა სამივე პრინციპის დაცვაზეა საუბარი, მაგრამ კონცეფციის მიხედვით ეს უნდა მოხდეს დასავლეთში კარგად ცნობილი „თენუარის“ პრინციპის გამოყენებით. „თენუარი“ მორიგი ბარბარიზმია ქართულ ენაში, მისი მნიშვნელობა კი ასეთია: ცნობილ მეცნიერს, რომელიც ასევე აღიარებულია საერთაშორისო დონეზე, სამეცნიერო თანამდებობის დაკავების საშუალება უნდა მიეცეს და მას არ უნდა დაემუქროს არაფერი ამ თანამდებობაზე, არ მოუწიოს კონკურსებში მონაწილეობა და ა.შ. ახლა ვთქვათ, ეს რა, ახალია? აქამდე არ ყოფილა? ეს პრინციპი უკვე დიდი ხანია რეალიზებულია მეცნიერებათა აკადემიის სახით, რომლის წევრობაც სწორედ ზემოხსენებული სამი პრინციპის რეალიზების გარანტიაა, ანუ პრინციპული სხვაობა აკადემიის წევრობასა და „თენუირებულ“ მეცნიერს შორის არ არსებობს. მცირედი სხვაობა ტექნიკურ საკითხებშია და მე მივესალმები, თუ აკადემიაში არჩევის წესის დახვეწა მოხდება სწორედ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

**— მაშინ, სიახლე რა არის კომისიის მასალებში?**

— არის საკითხები, რომელიც კარგად არის გააზრებული.თუმცა, ასევე არის პრობლემა. მაგალითად, უნივერსიტეტებში ე.წ. რჩეულთა პოზიციებზე უნდა მოიწვიონ საერთაშორისო ხარისხის მქონე მეცნიერები, მათ შორის უცხოელები. და თუ ასეთ პოზიციებზე არ გვეყოლება ქართველები, ისინი თურმე შეიძლება იყვნენ დამსახურებული ლექტორები. ეს რას ნიშნავს, რომ იყვნენ „ლექტორები“, და არა პროფესორები?

არ არის გამორიცხული, ჩვენ მთელ რიგ დარგებში არ გვყავდეს „თენუირებული“ პროფესორები, ანუ პროფესორები, რომელთაც აქვს მუდმივი თანამდებობა ზემოხსენებული სამი პრინციპის დაცვით. ჩვენ განსაკუთრებით გვიჭირს საზოგადოებრივ მეცნიერებებში, რომლებიც უშუალო კავშირშია ამა თუ იმ ხელისუფლების იდეოლოგიასთნ. გამოგვივა, რომ ამ დარგების პროფესორთა უმრავლესობა ახალ სისტემაში კვლავ დაუცველი იქნება!

არანაკლებ საინტერესო დოკუმენტია შექმნილი თვითონ სამეცნიერო ინსტიტუტების თემასთან დაკავშირებით. ავტორები თვლიან, რომ ინსტიტუტი უნდა იქმნებოდეს მხოლოდ „თენუირებული“ მეცნიერის გარშემო, რაც საერთაშორისო დონეზე აპრობირებული პრაქტიკაა. მაგრამ, თუ მეცნიერების რომელიმე დარგში არ გვყავს „თენუირებული“ მეცნიერი, გამოვა, რომ ამ დარგში კვლევით ინსტიტუტს ვერ შევქმნით. სავსებით შესაძლოა, რომ, მაგალითად, გვქონდეს 3-4 ფიზიკის ინსტიტუტი, იმდენივე მათემატიკის ინსტიტუტი, და მეცნიერების სხვა დარგები საერთოდ დარჩეს ინსტიტუტების გარეშე! ეს კი აბსოლუტურად მიუღებელია. თუ ქვეყანაში არ იქნება მეცნიერების ყველა თუნდაც მსხვილ დარგში კვლევითი ინსტიტუტი, ხვალ მასწავლებლის მასწავლებელიც აღარ გვეყოლება!

ახალი კონცეფციის მიხედვით ასეთი დაწესებულებები შესაძლოა, ერთი „ქოლგის“ ქვეშ გაერთიანდნენ. სწორედ ასეთ ქოლგას „ვარდების რევოლუციამდე“ მეცნიერებათა აკადემია წარმოადგენდა, და სულაც არ არის საჭირო ახალი „ქოლგის“ ძებნა, მაგრამ ამ ჯგუფისთვის რატომღაც აკადემია მიუღებელია. იმის კრიტიკა, თითქოს დღეს საქართველოში რომელიმე მეტნაკლებად სერიოზულ მეცნიერს ჰქონდეს სურვილი საბჭოური ტიპის მეცნიერების აკადემია აღადგინოს, ნამდვილად არ არის კონსტრუქციული. მე ნამდვილად არ ვიცნობ ამ ჭკუაზე მყოფ ქართველ მეცნიერებს! ამგვარ უსაგნო კრიტიკაში უფრო გამოსჭვივის გაუგებარი სიძულვილი აკადემიის მიმართ. გაუგებარი, იმიტომ, რომ კომისიის საინიციატივო ჯგუფის ერთი წევრი უკვე არის აკადემიის წევრი...

**— თქვენ რას სთავაზობთ, ასეთ პირობებში როგორ შეიძლება დაიმკვიდროს ადგილი მეცნიერების ამა თუ იმ დარგმა?**

— ჩემი აზრით, უმჯობესი და უფრო მარტივია, მეცნიერების თითოეული მსხვილი დარგი წარმოდგენილი იყოს ერთი ინსტიტუტის სახით. ამ ინსტიტუტის ბაზაზე გამოიკვეთოს ლიდერი მეცნიერები და მათ მიეცეთ დამატებითი დაფინანსება, ანუ იყოს ერთი მათემატიკის, ქიმიის, ერთი ფიზიკის, ერთი ეკონომიკის და ა.შ. ინსტიტუტი. მე სულ რამდენიმე მეცნიერი ვიცი საზოგადოებრივ მეცნიერებაში, რომელსაც შედარებით მაღალი ციტირების ინდექსი აქვს. ამის გამო შეიძლება, მაგალითად, სამართლის ან დემოგრაფიის ინსტიტუტის გარეშე დარჩეს სახელმწიფო დამოუკიდებლობის მქონე ქვეყანა?!

**— ბატონო ლადო, კომისიაში სულ რამდენიმე ადამიანი მუშაობს, მათ არ გამოუთქვამთ სხვა მეცნიერებთან თანამშრომლობის სურვილი?**

— ბატონები გიორგი დვალი და ზაალ კოკაია უცხოეთში მოღვაწეობენ. ამიტომ მათ ნაკლებად იციან ის პრობლემები, რაც საქართველოში გვაქვს. ჩემი აზრით, ამგვარ კომისიებში მათთან ერთად ის ადამიანებიც უნდა იყვნენ ჩართული, ვინც აქ მოღვაწეობენ, ამ რეალობაში უწევთ მუშაობა.

**— რაც შეეხება იმ მეცნიერებს, რომლებიც საქართველოში არიან და კომისიაში მუშაობენ...**

— ერთ-ერთი მათგანი ვაჟა ბერეჟიანია, და მის შესახებ ვერაფერს გეტყვით, რადგან არ ვიცნობ. რაც შეეხება დავით ლორთქიფანიძეს, ეროვნული მუზეუმის დირექტორს, სწორედ აქ მივადექით „კომისიის“ ზნეობრივ მხარეს...

**— რას გულისხმობთ?**

— ეს ის პიროვნებაა, რომელმაც პრეზიდენტისგან მიიღო უმაღლესი ჯილდო 2011 წლის 26 მაისის დილას, მას შემდეგ, რაც რამოდენიმე საათის წინ იქ უდანაშაულო ადამიანების სისხლი დაიღვარა. მისი გამოჩენა „დვალის კომისიაში“ აბსოლუტურად მიუღებელი და გამაღიზიანებელია. „დვალის კომისიამ“ შესანიშნავი დოკუმენტებიც რომ მოამზადოს, ისინი მიუღებელი დარჩება ქართველი მეცნიერებისათვის, როცა ამ კომისიაში ბ-ნი ლორთქიფანიძე ფიგურირებს. მე ნამდვილად არ ვარ მომხრე, რომ დავით ლორთქიფანიძის წინააღმდეგ რაღაც სანქციები, თუნდაც ადმინისტრაციული, იქნეს გამოყენებული, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ თავისი ნამოქმედარის გამო დაიმორცხვოს და ჩუმად იყოს, ის თავს უფლებას აძლევს საზოგადოებას განათლებისა და მეცნიერების რეფორმირების საკითხებზე მიმართოს. ეს, სულ ცოტა, ალმაშფოთებელია!

**— თქვენ თქვით, რომ პასუხისმგებლობა სამართლებრივად ვერ დაეკისრება ამ კომისიას, ხოლო ჯოხი შეიძლება გადატყდეს ისევ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროზე და განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტზე, რომელსაც აკადემიკოსი ვანო კიღურაძე ხელმძღვანელობს. თუ ვინმე იბრძოდა აკადემიის გადასარჩენად, მათ შორის ბატონი ვანოც არის, მას რა შეხედულება აქვს დოკუმენტებთან დაკავშირებით?**

— ეს სწორედ რეფორმის გატარების ორგანიზაციული საკითხია. თავიდანვე ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ ბატონი ვანო კონსტრუქციული პიროვნებაა. მან საპარლამენტო კომიტეტის გასვლითი შეხვედრა გამართა თბილისში, მეცნიერებათა აკადემიის შენობაში, სადაც არაერთი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი მოიწვია. ამ შეხვედრაზე დადგა საკითხი, რომ რამდენიმე ინსტიტუტს აღუდგეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. მინისტრის რეაქცია კი ასეთი იყო: მიმართეთ დვალის კომისიასო. დვალს სად მივაკითხოთ, და რაც მთავარია რატომ უნდა მივაკითხოთ, როცა კომისია სამართლებრივად, თურმე, არ არსებობს? ინსტიტუტებმა კი „მიაკითხეს“ განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს, რომელმაც, თავის მხრივ, მიმართვა გაუგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ამ უკანასკნელის მხრიდან, კი ჯერჯერობით დუმილია, პასუხი არ ისმის.

**— იქნებ არ არის მარტივად გადასაწყვეტი თემა?**

— ამას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება. ამის გაკეთება მთავრობას შეუძლია: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით მან ინსტიტუტებს უნდა აღუდგინოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და დაუქვემდებაროს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, იმავდროულად, ეკონომიკის სამინისტრომ ამ ინსტიტუტებს უზურფრუქტის წესით უნდა დაუბრუნოს ჩამორთმეული ქონება.

ხაზი უნდა გაესვას რეფორმის გატარების ორგანიზაციულ მხარეს, რადგანაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვის ეკისრება პოლიტიკური (და არა მარტო) პასუხისმგებლობა რეფორმის წარმატება-წარუმატებლობაზე.

მინდა, შეგახსენოთ 2000-იანი წლების დასაწყისი, როცა ბატონი ვანო ამტკიცებდა, რომ სამეცნიერო ინსტიტუტებს სჭირდებოდათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ამ შეხედულებას მეც ვიზიარებდი, მაგრამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ეს იდეა ლომაიამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ინსტიტუტები წაართვა აკადემიას და ამით დაიწყო არა მარტო აკადემიის, არამედ ინსტიტუტების ნგრევაც, რომლების, საბოლოო ჯამში, ხელოვნურად შეუერთეს უნივერსიტეტებს.

იმ შემთხვევაშიც კი, „დვალის კომისიის“ იდეა აბსოლუტურად სწორ იდეებს რომ ავითარებდეს, დიდი მნიშვნელობა აქვს რეფორმის გამტარებელი პოლიტიკური ორგანოს ქმედებას. რადგანაც „დვალის კომისიას“ არავითარი ფორმალური პასუხისმგებლობა არ აკისრია, ხომ შეიძლება ყველაფერი ისე არ გამოვიდეს, როგორც ამ „კომისიის“ წევრები გვთავაზობენ და მაშინ მათ რა პასუხი მოეთხოვებათ? არანაირი! ისინი ყოველთვის იტყვიან, ჩვენ სულ სხვა რამე ვგულისხმობდითო. აშკარაა, რომ განათლებისა და მეცნიერების რეფორმას უფრო მეტი სიფრთხილე და გააზრება სჭირდება!

**ესაუბრა**
**თეა მოსია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს პატრიარქმა მხარი დაუჭირა რუსეთის ექსპერტებს ღვინოსთან დაკავშირებით

**„რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის" ჯგუფი ექვსი კაცის შემადგენლობით, რომლებიც, ამ კვირაში ქართულ ალკოჰოლსა და მინერალურ წყლებზე შვიდწლიანი ემბარგოს შემდეგ პირველად ჩამოვიდნენ მწარმოებლებთან საქართველოში თანამშრომლობის აღდგენის გასახილველად, ოთხშაბათს მიიღო და დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.**

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ „ეს იყო სტუმრების მეტად პოზიტიური შეხვედრა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ავტორიტეტულ ადამიანთან". მისი სიტყვებით, საპატრიარქოსთან ურთიერთობამ „მოახდინა შეშფოთების ნეიტრალიზაცია", რომელიც გაუჩნდათ მიმღებ მხარეს და ვიზიტორებს წინა დღით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებების გამო.

საქართველოს პრეზიდენტის კომენტარები გაკეთდა პრეს-კონფერენციაზე.

— პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ ექსპერტები გაეშურნენ მორიგ საწარმოებში, — გვითხრა ლევან დავითაშვილმა. — იმედი მაქვს, რომ საკითხი „რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის" ხელმძღვანელობის მიერ ექსპერტების ვადამდელი გაწვევის შემდეგ არ დადგება.

**სააკაშვილის კრიტიკულმა განცხადებებმა ვერ აიძულეს რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის სპეციალისტები, შეწყვიტონ ინსპექცია და დაბრუნდნენ რუსეთში**

— იმედი მაქვს, რომ რუსი ექსპერტები გააგრძელებენ მუშაობას, — განაცხადა ჩვენთან საუბარში პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ. — ქართულმა მხარემ მოიწვია ისინი შემოწმებისთვის, და სააკაშვილმა არ უნდა იკადროს ასეთი გამონათქვამები. სხვათა შორის, გენადი ონიშჩენკოც ხშირად „მაღლა სწევდა გრადუსებს" თავისი გამონათქვამებით საქართველოს მისამართით. მხარეებმა მეტი თავშეკავებულება უნდა გამოიჩინონ.

პირველი საწარმო, რომელიც აწარმოებს ღვინოს და რომლის შემოწმებაც მოაწყვეს ექსპერტებმა 27თებერვალს, იყო სააქციო საზოგადოება „თბილღვინო". რუსმა სპეციალისტებმა ადგილზე კომენტარზე უარი განაცხადეს, დაგვპირდნენ, რომ ყველაფერზე ისაუბრებენ მოსკოვში. სააქციო საზოგადოების აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ მარგველაშვილმა გვითხრა, რომ ემბარგომდე „თბილღვინოს" შეჰქონდა რუსეთში თავისი ყოველწლიური ექსპორტის ნახევარი — 700 ათასი ბოთლი.

— შეგვამოწმეს დეტალურად, გულდასმით — როგორ მიმდინარეობს მთელი პროცესი, როგორ ვამოწმებთ ხარისხს. ჩვენ



ავუხსენით, რომ დიდი ხანია ვმუშაობთ ყველაზე მაღალი საერთაშორისო სტანდარტებით, ვუჩვენეთ სერტიფიკატები, — გვითხრა მან. — ყველა ჯანსაღად მოაზროვნე მწარმოებელი დაინტერესებულია დინამიური რუსული ბაზრით, მისი განვითარებული ინფრასტრუქტურით. რამდენს მივაწვდით? ამას გვიჩვენებს პირველი რამდენიმე თვე. თუ ბაზარს გაგვიხსნიან, დავაბრუნებთ ტრადიციულ მარკებს — „რქაწითელს", „წინანდალს", „საფერავს", „მუკუზანს", აგრეთვე, შევთავაზებთ ახალ ექსკლუზივებს — „ქვევრის წითელს" და „ქვევრის თეთრს".

წინა დღით ექსპერტები გაეცნენ სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილის" პროდუქციას, რომელიც უშვებს ელიტურ კონიაკებს 1884 წლიდან.

— რუსეთის მხარეს არ აქვს კომენტარების უფლება, — გვითხრა მთავარმა ტექნოლოგმა დავით აბზიანიძემ. — მაგრამ საშინაო სამზარეულოდან ვიცი, რომ ისინი კმაყოფილი არიან ჩვენი პროდუქციით, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებით, იმ დაწვრილებითი ინფორმაციით, რომელიც მიიღეს. ეჭვი არ უნდა დარჩეს!

1 მარტამდე ექსპერტებს განზრახული აქვთ შეამოწმონ 44 საწარმო.

ИЗВЕСТИЯ

# სააკაშვილი ინსპექციას შლის?

**რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ინსპექცია შეიძლება გაიწვიონ საქართველოდან საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადების გამო ქვეყანაში რუსი ექსპერტების ყოფნის არასასურველობის გამო.**

„თუ სიტუაცია მოწესრიგდება, ჩვენ დავაყენებთ საკითხს ექსპერტების უკან გაწვევის შესახებ, შევწყვეტთ მათ მუშაობას საქართველოს ტერიტორიაზე", — განაცხადა ჩვენთან საუბარში ოთხშაბათს რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ხელმძღვანელმა, რუსეთის ფედერაციის მთავარმა სახელმწიფო სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ. „თუ რუსეთის სპეციალისტების შეურაცხყოფა და სხვა მოქმედებები, რომლებიც წინააღმდეგობას უქმნიან ნორმალურ მუშაობას, საკითხი ჩვენი სპეციალისტების ვადამდელი გაწვევის შესახებ დარჩება ღიად", — ხაზგასმით აღნიშნა მან.

რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის სპეციალისტები არიან საქართველოში იმ საწარმოების ინსპექციისთვის, რომლებსაც განზრახული აქვთ განაახლონ ღვინისა და მინერალური წყლების რუსეთის ფედერაციის ბაზარზე დაბრუნება. სააკაშვილმა წინა დღით განაცხადა, რომ ვერ ხედავს აზრს იმაში, რომ რუსეთის ექსპერტებს ნება მისცეს ადგილზე შეამოწმონ ქართული ღვინის ხარისხი. „ონიშჩენკომ თავად არ დაგვდო პატივი, მაგრამ ჩამოვიდა მათი დელეგაცია და ჩვენი ჩინოვნიკები უკანა თათებზე დადგნენ, ღვინის ქარხნების წარმომადგენლები ხელის კანკალით უსხამდნენ მათ ღვინოს, თვალყურს ადევნებდნენ მათ რეაქციას — მოსწონთ თუ არა იგი", — განაცხადა სააკაშვილმა სამშაბათ საღამოს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს.

საქართველოს პრეზიდენტმა თქვა, რომ სიტუაციამ მას გოგოლის „რევიზორი" მოაგონა, და შეურაცხმყოფლურად მოიხსენია ქვეყანაში ჩამოსული რუსი ექსპერტები. „ჩვენთან მოდის რევიზორი. ის კი, თუ რა უნდათ რუს ჩინოვნიკებს, ყველამ იცის. ჩაუდებთ მათ ჯიბეში, და ისინი ბედნიერები წავლენ. თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ ისინი შესამოწმებლად ჩამოვიდნენ?", — თქვა სააკაშვილმა. ამავე დროს მან განაცხადა, რომ, როდესაც ბავარიის ძეხვი შემოდის რუსეთში, არავინ არ უხმობს ბავარიაში რუს ექსპერტებს.



„კომენტარები, რომლებიც გაისმა საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირისგან, ვისი სტატუსიც ეჭვქვეშ დგება, ადასტურებს შიშს, რის გამოც რუსეთის მხარემ ჩვენი ჯგუფების ჩასვლამდე მოითხოვა უსაფრთხოებისა და დაუბრკოლებელი მუშაობის გარანტია საქართველოს საწარმოებში", — ასეთი კომენტარი გაუკეთა ონიშჩენკომ სააკაშვილის განცხადებას.

რუსეთმა 2006 წელს შემოიღო აკრძალვა საქართველოდან ღვინისა და მინერალური წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით. ოფიციალური მიზეზი იყო პრეტენზიები ხარისხთან დაკავშირებით, თუმცა, ბევრმა ექსპერტმა მოსკოვის ამ ნაბიჯში პოლიტიკა დაინახა.

„პრობლემები გაცილებით უფრო ღრმაა. არის ძალები, რომელთა ნებითაც კეთდება ამგვარი განცხადებები და რომლებიც ეწინააღმდეგებიან ჯანსაღი აზრის ლოგიკასა და საქართველოს ეკონომიკის რეალურ მოთხოვნებს", — განაცხადა რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ხელმძღვანელმა.

მან გვაცნობა, რომ ამ სიტუაციაში მეტად დროული გახდა წინადადება რუსი ექსპერტების შეხვედრის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან. „ეს შეხვედრა შეიძლება გაიმართოს დღეს. ამაში ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, ვხედავთ ერის სულიერი ლიდერის სურვილს — გააკეთოს ყველაფერი იმისთვის, რომ სწორი შეფასება მიეცეს მომხდარ მოვლენებს ეკონომიკურ ურთიერთობათა ნორმალიზაციისთვის", — ხაზგასმით აღნიშნა ონიშჩენკომ.

თებერვლის დასაწყისში მოსკოვში მოლაპარაკებაზე ორი ქვეყნის ექსპერტები ერთმანეთს უთანხმებდნენ ქართული ღვინისა და მინერალური წყლის დაშვების მექანიზმს რუსეთის ბაზარზე. იგი ვარაუდობს დოკუმენტურ შემოწმებას, აგრეთვე, რუსი ექსპერტების ჩასვლას საქართველოში, უშუალოდ, საწარმოებში. სულ დაგეგმილი იყო 44 ობიექტის ინსპექტირება.

ინსპექციის შედეგების მიხედვით მიღებული იქნება გადაწყვეტილება საქართველოს საწარმოების დაშვების შესახებ რუსეთის ბაზარზე. რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ხელმძღვანელის აზრით, საქართველოს საწარმოებს შეუძლიათ დაიწყონ პროდუქციის მიწოდება რუსეთის ფედერაციაში უკვე გაზაფხულზე.

საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა ონიშჩენკოსთან მოლაპარაკების შემდეგ 4 თებერვალს მოსკოვში, როდესაც უპასუხებდა შეკითხვაზე, თუ ღვინის რომელ მარკებს შეუძლიათ გაჩნდნენ რუსეთის დახლებზე უწინარეს ყოვლისა, გვითხრა: ეს მაინც იქნება „ქინძმარაული", ეს მაინც იქნება „ხვანჭკარა", ესენი იქნებიან „წინანდალი" და „მუკუზანი". ის ღვინოები, რომლებიც მომხმარებლებს რუსეთში უყვართ და ახსოვთ". საქართველოს მინერალური წყლის ცნობილი მარკებიდან, უწინარეს ყოვლისა, განახლდება „ბორჯომისა" და „ნაბეღლავის" მიწოდება.

ИНТЕРФАКС INTERFAX

## დედამიწის ზურგზე



**ირანის ბირთვულმა „გეგმა-ბ-მ", რომელიც ამოტივტივდა კოსმოსიდან გადაღებული სურათის წყალობით, ვერ ჩაშალა „ექვსეულის" შეხვედრა**

„ექვსეულის" ახალი შეხვედრა მინისტრების დონეზე გაიმართება უკვე მარტის შუა რიცხვებში სტამბოლში, ამას გარდა მხარეებმა მოილაპარაკეს, კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ალმა-ატაში. სალაპარაკო კი ბევრი რამაა... ირანს შესთავაზეს დახუროს პროგრამა ფორდოში სანქციების შემსუბუქების სანაცვლოდ. მით უმეტეს, ურანი შეიძლება შეიცვალოს პლუტონიუმით, რომელიც პრესამ საიდუმლო ობიექტზე აღმოაჩინა.

* * *

**აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა უამბო ევროპას ამერიკელთა მთავარი უფლების შესახებ — სისულელეზე**



„ამერიკაში თქვენ გაქვთ უფლება იყოთ სულელი, თუ ეს გსურთ... ვფიქრობ, რომ ეს არის ღირსება და მისთვის შეიძლება იბრძოლო", — განაცხადა ჯონ კერიმ, რომელიც ევროპაში ტურნეს აწყობს. ადრე კერიმ უკვე ისარგებლა სისულელის უფლებით, როდესაც „აღმოაჩინა" ახალი სახელმწიფო აზიაში — „კირზახსტანი".

* * *

**თვითმხილველებმა გამოაქვეყნეს ლუქსორის თავზე საჰაერო ბურთის იმ აფეთქების ვიდეო, რისი მსხვერპლიც 19 კაცი გახდა**



„ხალხი პირდაპირ ბობოქრობდა და ხტებოდა კალათიდან", — საუბრობენ თვითხილველები და გაოცებული იყვნენ, რომ დაღუპულთა შორის ერთ-ერთი ფეხმძიმე ქალი იყო. გამოძიებამ ეგვიპტეში ჯერჯერობით არ გამოაქვეყნა შედეგები, ასე რომ, დასკვნებს აკეთებენ ჟურნალისტები. ისინი ასახელებენ საგანგებო შემთხვევის დამნაშავეებს და ქვეყანას უწინასწარმეტყველებენ ტურისტულ კრიზისს.

* * *

**ჩინეთში დაწყებით სკოლაში ჭყლეტაში 4 ბავშვი დაიღუპა**

ინციდენტი მოხდა ქალაქ ლაოხეკოუში ხანგრძლივი არდადეგების შემდეგ, მთვარის კალენდრით ახალ წელთან დაკავშირებით მეცადინეობის პირველ დღეს. წინასწარი მონაცემებით, ტრაგედია მოხდა იმ დროს, როდესაც ბავშვების დიდი ოდენობა მიაწყდა სკოლის ჭიშკარს უკნიდან. რკინის კარმა ვერ გაუძლო და ბავშვებს დაეცა.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# 2. არა ღვთის, მისივე ნებით

**იმის მიუხედავად**, რომ კათოლიკური ეკლესიის უმაღლეს იერარქს უვადოდ, სიკვდილამდე ირჩევენ, რომის კათოლიკური ეკლესიის კანონიკური სამართალი ითვალისწინებს რომპაპის გადადგომასაც. ამასთან, გადადგომას სჭირდება მხოლოდ პონტიფიკოსის ნება და მისი გადაწყვეტილება, რაც არავის დამტკიცებას ან დადასტურებას არ საჭიროებს და განხილვასაც არ ექვემდებარება.

ალბათ, არ იყო შემთხვევითი, რომ გერმანელ ჟურნალისტთან პეტერ ზეევენდთან ინტერვიუში, რომელიც 2010 წლის ნოემბერში ცალკე წიგნადაც გამოიცა, ბენედიქტ XVI ნათლად მიუთითებს, რომ კათოლიკური ეკლესიის მეთაურს უფლება აქვს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ვალდებულიც არის, გადადგეს, თუკი აცნობიერებს, რომ „ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და სულიერად“ აღარ ძალუძს უფლისა და მრევლის მსახურება, ვითარცა რომპაპს.

ალბათ, იგი უკვე მაშინ ფიქრობდა გადადგომაზე. აკი ამბობს, გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მივიღეო. შესაძლოა, მისმა ძმამაც იმ დროიდან იცოდა მისი ამ ჩანაფიქრის შესახებ.

— ჩემთვის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა, — უთხრა რომპაპის განცხადებისთანავე მასთან მიცვენილ ჟურნალისტებს რეგენსბურგის ეკლესიის გუნდის რეგენტმა გეორგ რატცინგერმა.

უმცროსი რატცინგერი, რომელიც 1951 წელს ძმასთან ერთად ეკურთხა მღვდლად, უარყოფს ხმებს იმის შესახებ, რომ რომპაპი გადადგომის შემდეგ ბავარიაში აპირებს ჩასვლას:

— მას აქ როგორც რომპაპს, კვლავ ისე დახვდებიან, რაც, ბუნებრივია, არაერთ პრობლემას შექმნის. თუმცა, სულიერების თვალსაზრისით, ის, ვინც რომპაპი გახდა, სამუდამოდ რომპაპი იქნება, — ამბობს გეორგ რატცინგერი.

სხვათა შორის, 11 თებერვალი ლურდის ღვთისმშობლის ხსენების დღეა, ამ დღეს კათოლიკეები სნეულთა და უძლურთათვის ლოცულობენ და იგი საერთაშორისო კალენდარში ავადმყოფთა მსოფლიო დღედ არის შესული.

განცხადებამდე სამი თვით ადრე რომპაპმა გულის ოპერაცია გადაიტანა რომის პიუს XI-ის სახელობის კლინიკაში. კარდიოსტიმულატორის შეცვლის ოპერაცია, რომელიც ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა იტალიელმა კარდიოქირურგმა, პროფესორმა ლუიჯი კიარიელომ გააკეთა, წარმატებით განხორციელდა და გართულებების გარეშე დასრულდა. სწორედ კიარიელომ ჩაუდგა ამ ათი წლის წინათ მაშინ ჯერ კიდევ „რიგით“ კარდინალს იოზეფ რატცინგერს პირველი კარდიოსტიმულატორი. ბოლო ოპერაციის შესახებ იტალიის საქმიანი წრეების გაზეთი „Il sole 24 ore“ წერდა, თავად ქირურგს კი არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია.

განსხვავებით წინამორბედისაგან, რომელსაც უფრო ხშირად უხდებოდა სერიოზული და ხანგრძლივი მკურნალობა და რომლის ყოველი ჰოსპიტალიზაცია ოფიციალურად ცხადდებოდა ვატიკანის მიერ, ბენედიქტე XVI-ის ყველა ოპერაცია და ჰოსპიტალიზაცია მკაცრად იყო გასაიდუმლოებული.

არ არის გამორიცხული, რომ ბენედიქტე XVI-ის გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ იოანე-პავლე II-ისაგანაც იღებდეს სათავეს: 11 თებერვლის განცხადებასთან დაკავშირებით, არავის გახსენებია, რომ 1995 წელს, მას შემდეგ, რაც რომპაპის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა, რაც მას ამოაჭრეს სიმსივნე, რაც მოიტეხა თეძოს ყელი, რაც პარკინსონის დაავადება აღმოაჩნდა, 75 წლის იოანე-პავლე II თავის უერთგულეს მრჩეველს, კარდინალ იოზეფ რატცინგერს დაეკითხა, ხომ არ ღირდა, გადამდგარიყო, როგორც ამას კათოლიკური ეკლესიის კანონიკური სამართალი მოუწოდებს ამ ასაკის ეპისკოპოსებსა და კარდინალებს. მაგრამ ერთობლივი ისტორიულ-თეოლოგიური გამოკვ-



ლევის შემდეგ მოქმედი და მომავალი რომპაპები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეკლესიისათვის ღრმად მოხუცი რომპაპი უმჯობესი იქნებოდა, ვიდრე გადამდგარი.

საკუთარ თავთან მიმართებაში კი ბენედიქტე XVI-მ რატომღაც სხვაგვარად განსაჯა. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს, რომ ასაკსა და ეკლესიის კეთილდღეობაზე აპელირების ფასადი შესაძლოა, გადადგომის ნამდვილ მიზეზ(ებ)ს ფარავდეს.

(არ არის გამორიცხული, რომ ამ ფონზე ერთგვარი ნაგვიანევი სინანულის გამოხატულება იყოს მის მიერ წინამორბედის ბეატიფიკაცია — 2011 წლის 1 მაისს ბენედიქტე XVI-ემ იოანე-პავლე II ნეტარად შერაცხა.)

თავისი გადაწყვეტილების კომენტირებისას რომპაპმა განაცხადა:

— უფალმა მომიწოდა მთაზე ასვლად, რათა მთლიანად მიმეძღვნა ჩემი თავი ლოცვებისა და მედიტაციისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე ვტოვებ ეკლესიას. პირიქით, ღმერთმა სწორედ ამიტომ მომიწოდა, რომ ამ გზით მე მას ისეთივე თავდადებით და სიყვარულით ვემსახურო, როგორც აქამდე ვემსახურებოდი, ოღონდ ჩემი ასაკისა და შესაძლებლობებისათვის უფრო შესაბამისი ფორმით.

ასეა თუ ისე, ისტორიაში ამგვარი შემთხვევა არ ყოფილა. კი, მასმედიასა თუ ინდმედიაში ბენედიქტე XVI-ის გადადგომასთან კავშირში არაერთხელ ახსენეს ცელესტინ V-ისა და გრიგოლ XII-ის სახელები, მაგრამ ორივე ეს პაპი იძულებით გადადგა, ხოლო ბენედიქტე XVI-ის შემთხვევა პრინციპულად განსხვავებულია, რადგან მისი გადადგომა, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად და ჩვენი ცოდნის ამ ეტაპზე მაინც, ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება იყო.

მართალია, 1294 წლის 13 დეკემბერს ცელესტინ V-მ თავად მოაწერა ხელი თავისი გადადგომის აქტს, მაგრამ მისი ტექსტი კარდინალ ბენედეტო კაეტანის მიერ იყო შედგენილი, რომელიც 40-ოდე დღეში თვითონ გახდა პაპი, ბონიფაციუს VIII დაირქვა და წინამორბედი ციხეში გამოკეტა, სადაც იგი გარდაიცვალა კიდეც 1296 წელს. გარდაცვალებიდან 17 წლის შემდეგ ცელესტინ V წმინდანად შერაცხეს, ხოლო ბონიფაციუს VIII-ს დანტემ თავისი ჯოჯოხეთის მერვე გარსში უკრა თავი.

რაც შეეხება გრიგოლ XII-ს, მან საეკლესიო განხეთქილების თავიდან აცილების მიზნით, 1406 წელს, რომპაპად არჩევისთანავე გამოაცხადა, რომ მზად იყო, გადამდგარიყო, თუ ამასვე იზამდა ავინიონელი პაპი ბენედიქტე XIII, რაზეც ამან უარი განაცხადა. შედეგი არც მათმა პირადმა შეხვედრამ გამოიღო, ხოლო 1409 წელს პიზაში გამართულ კრებაზე ორივე მათგანი სქიზმატიკოსებად შერაცხეს და ახალ, უკვე მესამე პაპად კრეტაზე დაბადებული ფრანცისკანელი პეტრე ფილარგი აირჩიეს ალექსანდრე V-ის სახელით.

1415 წელს კონსტანცაში გამართულმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ, კათოლიკური ეკლესიის ერთიანობის აღდგენის მიზნით, მიიღო რომპაპ გრიგოლ XII-ის გადადგომა და, იმავდროულად, გადააყენა აპტიპაპები — ბენედიქტე XIII და ალექსანდრე V-ის მემკვიდრე იოანე XXIII. ეს უკანასკნელი კონსტანციდან გაიქცა, ბენედიქტე XIII ანათემას გადასცეს, ხოლო ახალ რომპაპად მარტინ V აირჩიეს.

დიახ, ასეთი რამ ისტორიაში არ მომხდარა! დღეს, 28 თებერვალს, საღამოს 8 საათზე რომის დროით (23 საათზე თბილისის დროით) ცოცხალი რომპაპის პირობებში ვატიკანი „ვაკანტური ტახტის“ რეჟიმს გამოაცხადებს. ზუსტად ამ დროს გაუქმდება რომპაპის აკაუნტი ტვიტერზე, თუმცა, თავად მიკრობლოგი ჯერ ამის შესახებ არ წერს. არადა, ეს გვერდი სულ ორი თვის გახსნილია. „ძვირფასო მეგობრებო, სიამოვნებით გიერთდებით ტვიტერზე“, — ამ სიტყვებით მიესალმა ტვიტერის მომხმარებლებს რომპაპი 2012 წლის 12 დეკემბერს. იმაზე არსად არაფერია ნათქვამი, შეგნებულად აარჩია თუ არა, რომპაპმა ტვიტერზე დარეგისტრირების თარიღად 12.12.12. პირველ კვირაში მის მიკრობლოგს 2 მილიონზე მეტი ხელმომწერი გაუჩნდა, ახლა კი ხელმომწერთა რიცხვი 3 მილიონს აჭარბებს. მიკრობლოგის ინგლისურ ვერსიას მილიონნახევარი კაცი კითხულობს, ესპანურს — 700 ათასი, იტალიურს — 330 ათასი, ყველაზე ბოლო, ლათინურ ვერსიას კი 22 ათასზე მეტი მიმდევარი ჰყავს. გარდა ამისა, არსებობს მიკრობლოგის გერმანული, ფრანგული, პორტუგალიური, პოლონური და არაბული ვერსიები. ბენედიქტე XVI-ს შესაძლებლობა აქვს, არა მარტო თვალი ადევნოს თავის ბლოგს, თავადაც მართოს იგი არაერთ ენაზე. მშობლიური გერმანულის გარდა, იგი თავისუფლად ფლობს იტალიურ, ლათინურ, ინგლისურ და ესპანურ ენებს, კითხულობს ძველბერძნულსა და ივრითზე.

საყოველთაო აღიარებით, ბენედიქტე XVI თავისი ამ არაორდინარული გადაწყვეტილების გარდა, ისტორიაში შევა, როგორც უდიდესი ღვთისმეტყველი და გამორჩეული ქადაგი.

უკვე რომპაპმა ბენედიქტე XVI-მ თავის ერთ ყველაზე ცნობილ წიგნს „იესო ნაზარეველი“, იოზეფ რატცინგერის სახელით რომ გამოსცა, მოკლე შესავალი დაურთო, რომელიც ასეთი სიტყვებით იწყება: „ყველას, ვისაც სურვილი გაუჩნდება, შეუძლია არ დამეთანხმოს“... როგორი ნათქვამია რომპაპისაგან, რომლის უცოდველობა დოგმატადაა მიღებული კათოლიკურ სამყაროში! ისიც ყურადღებამისაქცევი ამბავია, რომ ბენედიქტე XVI-მდე არცერთ რომპაპს არ დაუტოვებია ნაშრომი იესო ქრისტეზე. უახლოეს წლებში დასრულდება იოფეზ რატცინგერის საღვთისმეტყველო თხზულებების 16-ტომეულის გამოცემა. დასაბეჭდად მზადდება და მალე გამოვა, აგრეთვე, პონტიფიკოსის წერილები და ბოლო წლების მისი გამოსვლებისა თუ ქადაგებების გაშიფრული აუდიოჩანაწერები.

— გადადგომის შემდეგ ბენედიქტე XVI აღარ აპირებს მუშაობის გაგრძელებას ღვთისმეტყველებაში და იგი არც ერთ სიტყვას აღარ გამოაქვეყნებს. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ იგი ბოლომდე მიიყვანს დაწყებულ პროექტებს, რომლებიც უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდება, — ამბობს რეგენსბურგის ეპისკოპოსი რუდოლფ ფოდერჰოლცერი, რომელიც რომპაპის საღვთისმეტყველო შრომების გამოცემას ხელმძღვანელობს.

უჩვეულო აქტის წინ ექსპერტებიც და ცნობისმოყვარენიც ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, თუ რა სახელით გააგრძელებს ცხოვრებას რომპაპადყოფილი და როგორ იქნება იგი შემოსილი.

— არავის არა აქვს უფლება, ყოფილ რომპაპს თავისი სახელის გამოყენება აუკრძალოს, — განაცხადა გასულ ხუთშაბათს ვატიკანის რადიოთი გამოსვლისას ვატიკანის პრესსპიკერმა ფედერიკო ლომბარდიმ.

— გადადგომის შემდეგ ყოფილი რომპაპი ისევ თეთრი ანაფორით ივლის, — ამბობს მისი ძმა გეორგ რატცინგერი, — დარწმუნებული ვარ, აგრეთვე, რომ იგი შეინარჩუნებს თავის ამჟამინდელ სახელს, თუმცა, ჩემს ძმას ეს ჯერ არ გადაუწყვეტია.

ჯერ ისიც არ არის ცნობილი, როგორ უნდა მიმართონ ყოფილ რომპაპს გადადგომის შემდეგ. გეორგ რატცინგერი ფიქრობს, რომ ეს უპრეცედენტო საკითხი კანონიკური სამართლის სპეციალისტებმა უნდა განიხილონ.



კასტელ-განდოლფოს რეზიდენცია



დედათა მონასტერი ვატიკანის ბაღში

ბენედიქტე XVI-მ უკვე შეარჩია რეზიდენცია, სადაც ის იცხოვრებს.

— ეს არ არის ელიტური საცხოვრებელი, — ამბობს ფედერიკო ლომბარდი, — მასთან ახლოს მყოფი ადამიანების სიტყვებით, პონტიფიკოსი მუდამ ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა და მისი საყვარელი საქმიანობა წიგნების კითხვა და ფორტეპიანოზე დაკვრაა.

ლომბარდის სიტყვებით, ვატიკანის ბაღებში ერთ-ერთი სეირნობისას რომპაპმა ყურადღება მიაქცია მებაღეთა სახლს, რომელიც მისი წინამორბედის, იოანე-პავლე II-ის თაოსნობით დედათა პატარა მონასტრად უქცევიათ. განდეგილი დედების ეს მონასტერი ერთგვარი განცალკევებული სავანეა ვატიკანის ცენტრში. სხვადასხვა დროს აქ სხვადასხვა კონგრეგაციის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. მონაზონთა ბოლო ჯგუფმა მონასტერი 2012 წლის შემოდგომაზე დატოვა და შენობაში რემონტი დაიწყო. რემონტის დასრულებამდე რომპაპყოფილი გადასახლდება კასტელ-განდოლფოს საზაფხულო რეზიდენციაში, რომიდან 30-ოდე კილომეტრში.

ზამთრის ბოლო დღეს, 28 თებერვალს, 17 საათზე რომის დროით ბენედიქტე XVI კარდინალებს გამოეთხოვება, ვერტმფრენში ჩაჯდება, ცაში აფრინდება და...

ასე დასრულდება მისი პონტიფიკატი.

არა ღვთის, მისივე ნებით.

**პაატა ნაცვლიშვილი**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 37

◎ მემორიალი



# „დინამო–2“ ბენდელას თასის გამარჯვებულია

**„ბენდელას“ სტადიონზე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით მიმდინარე „ბენდელას თასის“ გათამაშების ფინალური შეხვედრა გაიმართა.**

აფხაზეთის ომში დაღუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის ზაზა ბენდელიანის ხსოვნის ტურნირის ფინალში ერთმანეთს თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ დუბლშემადგენლობის გუნდები შეხვდნენ.

„ბენდელას თასის“ მფლობელი „დინამო-2“ გახდა, რომელმაც მეტოქე 3:1 დაამარცხა. ტურნირში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის გუნდები მონაწილეობდნენ.

**გოლები:** 0:1 ჯილაური (8), 1:1 ახვლედიანი (36), 1:2 კვეკვესკირი (57), 1:3 გელაშვილი (66 საკ. კარში).

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ ეროვნული ნაკრები

# ირლანდია საქართველოს უმასპინძლებს

**საქართველოს ეროვნული ნაკრები 2 ივნისს ირლანდიას ამხანაგურ შეხვედრაში დაუპირისპირდება. თამაში კუნძულოვანი სახელმწიფოს დედაქალაქ დუბლინის „ავივა სთედიუმზე“ გაიმართება. 2011 წელს ამ სტადიონმა ევროპის ლიგის ფინალს უმასპინძლა „პორტუსა“ და „ბრაგას“ შორის.**



ჩვენი ქვეყნის მთავარი საფეხბურთო გუნდი მეხუთედ დაუპირისპირდება ამ მეტოქეს, თუმცა, ამხანაგურად – პირველად. საქართველოს და ირლანდიის ნაკრებები პირველად „ევრო 2004“-ის შესარჩევ ტურნირში შეხვდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი – მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე.

2008 წლის 6 სექტემბერს საქართველოს ნაკრებმა ირლანდიას გერმანიის ქალაქ მაინცში უმასპინძლა. ეს მატჩი თბილისში უნდა გამართულიყო, მაგრამ რუსეთის აგრესიით გამოწვეული დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო, ფიფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შეხვედრის ნეიტრალურ მოედანზე გადატანა მოსთხოვა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშება. მერვედფინალი. პირველი რაუნდი.**

„კოლხეთი“ – „დინამო“ 0:1 (ჩისკო), „დილა“ – „სამტრედია“ 6:0 (კახელიშვილი, ჟუნიორი – 3, გორელიშვილი – 2), „ვიტ ჯორჯია“ – „ცხინვალი“ 1:1 (ჯანელიძე; მეტრეველი), „სიონი“ – „ბაია“ 3:0 (ლექვთაძე – 2, ახალაია), „გურია“ – „ზესტაფონი“ 0:1 (დემელი), „ჩიხურა“ – „შუქურა“ 8:0 (დეკანოიძე – 4, კვასხვაძე – 2, კირკიტაძე, ზამბახიძე), „ტორპედო“ – „გაგრა“ 1:1 (ონიანი; ჯერემია), „ბათუმი“ – „მეტალურგი“ 2:1 (ჩიმაკაძე, მუჯირი„ გავაშელიშვილი).

* * *

**გერმანია. თასი. მეოთხედფინალი.** „მაინცი“ – „ფრაიბურგი“ 2:3 (დამატებით დროში), „ოფენბახი“ – „ვოლფსბურგი“ 1:2.

**საფრანგეთი. თასი. მერვედფინალი.** „სოშო“ – „ტრუა“ 1:2, „სენტ-ეტიენი“ – „ლილი“ 3:2, „ევიანი“ – „ჰავრი“ 3:1.

**იტალია. „სერია-ა“.** „ბოლონია“ – „ფიორენტინა“ 2:1.

**ესპანეთი. სამეფო თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი.** „ბარსელონა“ – „რეალი“ 1:3 (პირველი შეხვედრა – 1:1).




◎ ცურვა

# საგზურებისთვის გერმანიაში – „ოლიმპიკის“ გავლით

**წლეულს ივლისის მიწურულს კატალონიის დედაქალაქი ბარსელონა მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. იმ შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის საგზურებია საჭირო.** ლიცენზიების მოსაპოვებლად გუშინ გერმანიის ტურნირზე ცნობილი მწვრთნელის – ირინა მინჟულინას ხელმძღვანელობით ოთხი ქართველი სპორტსმენი გაემგზავრა: ახალგაზრდებში შარშანდელი ევროპის პირველობის მე-3 პრიზიორი და ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე ირაკლი ბოლქვაძე, პეკინის ოლიმპიადის მონაწილე ირაკლი რევიშვილი, დავით სიხარულიძე და თემურ კობახიძე. გერმანიის გარდა, სალიცენზიო ასპარეზობები 4-7 აპრილს ეინდჰოვენში, 10-14 აპრილს თურქეთსა და მაისში ხარკოვში გაიმართება. ამ შეჯიბრებებისთვის პირველი სტარტი ჩვენმა ბიჭებმა „ოლიმპიკის“ საცურაო აუზში საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში აიღეს. საგულისხმოა, რომ ბოლქვაძემ და სხირტლაძემ, შესაბამისად, 100 მ გულაღმა და 200 მ ბრასით სპორტის ოსტატის ნორმატივით დაფარეს. ჩემპიონატზე ქალთა შორის თავი ისახელა საჩხერელმა მარი ზუბიაშვილმა, რომელმაც ხუთი მედალი დაიმსახურა, მათ შორის სამი – ოქროსი. სულ პირველობაზე რუსთავის, აჭარის, გორის, საჩხერის, ჭიათურისა და თბილისის საცურაო აუზების 120-მდე წარმომადგენელმა მოსინჯა ძალები. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას.

**ქალები**

**50 მ თავისუფალი ყაიდა**. 1. ელენე უნდილაშვილი („დილომი“, 30,60), 2. ელენე ბერაია (31,15), 3. ნანო მოდოსიანი (ორივე – „სპორტ-თაიმი“, 32,03). **50 მ ბატერფლაი**. 1. ელენე ბერაია („სპორტ-თაიმი“, 35,85), 2. მარიამ ჩიხრაძე („ტონუსი“, 36,06), 3. ლიკა ჭიხორია (რუსთავი, 40,75). **50 მ გულაღმა ცურვა**. 1. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 36,47), 2. მარიამ წერეთელი (37,56), 3. მარიამ ჩიხრაძე (ორივე – „ტონუსი“, 37,86). **50 მ ბრასი.** 1. ქეთევან ყამარაული („ტონუსი“, 38,07), 2. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 38,53), 3. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 38,92). **100 მ ბრასი.** 1. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 1.22,81), 2. ქეთევან ყამარაული („ტონუსი“, 1.23,59), 3. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 1.25,38). **100 მ გულაღმა**. 1. მარიამ წერეთელი („ტონუსი“, 1.20,52), 2. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 1.21,71), 3. მარიამ ჩიხრაძე („ტონუსი“, 1.23,59). **100 მ ბატერფლაი.** 1. რუსუდან გოგინაშვილი (რუსთავი, 1.17,35), 2. მარიამ ჩიხრაძე („ტონუსი“, 1.19,47), 3. მარი ზუბიაშვილი (საჩხერე, 1.19,97). **100 მ თავისუფალი**. 1. ელენე უნდილაშვილი („დილომი“, 1.08,85), 2. მერი მუმლაძე („ტონუსი“, 1.08,86), 3. ელენე ბერაია („სპორტ-თაიმი“, 1.10,59). **200 მ ბრასი.** 1. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 2.55,49), 2. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 3.00,73), 3. ქეთევან ყამარაული („ტონუსი“, 3.01,57). **200 მ გულაღმა ცურვა.** 1. მარიამ წერეთელი („ტონუსი“, 2.52,62), 2. მარიამ ჩიხრაძე („ტონუსი“, 2.58,41), 3. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 3.02,00). **200 მ თავისუფალი.** 1. მერი მუმლაძე („ტონუსი“, 2.32,97), 2. ელენე უნდილაშვილი („დილომი“, 2.33,78), 3. კრავაი კერვალიშვილი („ტონუსი“, 2.44,84). **200 მ კომპლექსური.** 1. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 2.46,84), 2. რუსუდან გოგინაშვილი (რუსთავი, 2.47,90), 3. მერი მუმლაძე („ტონუსი“, 2.48,53).



**ვაჟები**

**50 მ თავისუფალი**. 1. დავით სიხარულიძე (24,60), 2. დავით შახნაზაროვი (ორივე – „ტონუსი“, 26,07), 3. გიორგი ბიგანიშვილი („ლაგუნა-ვერე“, 26,69). **50 მ ბატერფლაი**. 1. თემურ კობახიძე („ლაგუნა-ვერე“, 25,41), 2. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 27,03), 3. დათო მურჯიკნელი („გლდანი“, 29,75). **50 მ ბრასი.** 1. დავით სიხარულიძე („ტონუსი“, 31,63), 2. ბესო მდივანი („გლდანი“, 32,17), 3. ვასილ ხიზანიშვილი („ტონუსი“, 33,12). **50 მ გულაღმა**. 1. გიორგი მთვრალაშვილი („გლდანი“, 29,19), 2. თემურ კობახიძე (29,67), 3. ნიკიტა გიორგაძე (ორივე – „ლაგუნა-ვერე“, 32,50). **100 მ ბრასი**. 1. ირაკლი ბოლქვაძე (1.07,55), 2. ვასილ ხიზანიშვილი (1.14,33), 3. ირაკლი კვარაცხელია (სამივე – „ტონუსი“, 1.18,65). **100 მ ბატერფლაი.** 1. თემურ კობახიძე („ლაგუნა ვერე“, 57,18), 2. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 59,06), დავით მურჯიკნელი („გლდანი“, 1.05,59). **100 მ გულაღმა**. 1. გიორგი მთვრალაშვილი („გლდანი“, 1.04,28), 2. დავით სიხარულიძე („ტონუსი“, 1.05,11), 3. ნიკიტა გიორგაძე („ლაგუნა-ვერე“, 1.10,56). **100 მ თავისუფალი**. 1. დავით სიხარულიძე (53,30), 2. დავით შახნაზაროვი (ორივე – „ტონუსი“, 57,16), 3. ცოტნე მაისურაძე (რუსთავი, 58,16). **200 მ ბრასი**. 1. ირაკლი ბოლქვაძე (2.26,09), 2. ვასილ ხიზანიშვილი (2.39,88), 3. ირაკლი ჭარბაძე (სამივე – „ტონუსი“, 2.49,53). **200 მ კომპლექსური**. 1. ირაკლი ბოლქვაძე („ტონუსი“, 2.14,23), 2. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 2.22,69), 3. ვასილ ხიზანიშვილი („ტონუსი“, 2.25,80). **200 მ ბატერფლაი.** 1. თემურ კობახიძე („ლაგუნა-ვერე, 2.09,28), 2. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 2.11,66), 3. დათო მურჯიკნელი („გლდანი“, 2.37,91). **200 მ გულაღმა.** 1. ირაკლი ბოლქვაძე („ტონუსი“, 2.17,20), 2. ირაკლი ჭარბაძე („ტონუსი“, 2.36,81), 3. ნიკიტა გიორგაძე („ლაგუნა ვერე“, 2.38,94). **200 მ თავისუფალი ყაიდა.** 1. დავით სიხარულიძე („ტონუსი“, 2.00,09), 2. დავით შახნაზაროვი („ტონუსი“, 2.08,45), 3. ცოტნე მაისურაძე (რუსთავი, 2.09,13). **400 მ კომპლექსური**. 1. ირაკლი ბოლქვაძე (4.51,19), 2. ვასილ ხიზანიშვილი (5.14,06), 3. ირაკლი კვარაცხელია (სამივე – „ტონუსი“, 5.25,22). **400 მ თავისუფალი.** 1. ირაკლი რევიშვილი („ტონუსი“, 4.36,33), 2. ცოტნე მაისურაძე (4.41,60), 3. ნიკა ყაულაშვილი (ორივე – რუსთავი, 4,51,52). **800 მ თავისუფალი**. 1. ირაკლი რევიშვილი („ტონუსი“, 9.21,54), 2. ნიკა ყაულაშვილი (რუსთავი, 10.09,13), 3. ოთარ ივანაშვილი (საჩხერე, 10.56,34). **1500 მ თავისუფალი.** 1. ირაკლი რევიშვილი („ტონუსი“, 17.54,31), 2. ვასილ ხიზანიშვილი („ტონუსი“, 18.28,19), 3. ოთარ ივანაშვილი (საჩხერე, 20.59,62).

**ლექსო ცინცაძე**

◎ კალათბურთი



# განრიგი დაზუსტდა

**„ევრო-2013“-ის საორგანიზაციო კომიტეტმა ამ დღეებში სლოვენიური ფორუმის თამაშების განრიგი გამოაქვეყნა.**

შეგახსენებთ, რომ მატჩების გამართვის თარიღი აქამდეც ცნობილი იყო, მაგრამ მათი დაწყების დრო ახლაღა დადგინდა.

ვინაიდან ჩვენ უპირველესად საქართველოს ნაკრების შეხვედრები გვაინტერესებს, სწორედ მის კალენდარს გთავაზობთ.

**ცნობისათვის:** ქალაქ ცელიეში „ჯვაროსნებთან“ ერთად ჯგუფში ესპანეთის, სლოვენიის, ხორვატეთის, პოლონეთისა და ჩეხეთის გუნდები მოხვდნენ, ხოლო მომდევნო ეტაპზე აღნიშნული ექვსეულიდან საუკეთესო ტრიო იასპარეზებს.

მაშ ასე, გაეცანით იგორ კოკოშკოვის შეგირდთა მომავალი ბრძოლების თანმიმდევრობას.

**4 სექტემბერი.** საქართველო – პოლონეთი. 16:30.
**5 სექტემბერი.** საქართველო – ხორვატეთი. 16:30.
**7 სექტემბერი.** საქართელო – სლოვენია. 23:00.
**8 სექტემბერი.** საქართველო – ჩეხეთი. 19:45.
**9 სექტემბერი.** საქართველო – ესპანეთი. 16:30.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ კრივი

# ბაქოში იასპარეზებენ

**ქართველი მოკრივეები მონდომებით ემზადებიან ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც 17 მაისიდან ბელარუსის დედაქალაქი უმასპინძლებს.** ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ბონდო მამულაშვილის** განკარგულებაშია 30 სპორტსმენი. 10 მათგანი - საქართველოს წლევანდელი ჩემპიონები და პრიზიორები: **დავით ნანავა** (49 კგ), **სევერიან ჭილაძე** (52), **გიორგი გოგატიშვილი** (56), **გიორგი ასანიძე** (60), **ბექა კუჭავა** (64), **ლევან კაჟაშვილი** (69), **ნიკოლოზ სეხნიაშვილი** (75), **გიორგი ქისტაური** (81), **გიორგი გვენეტაძე** (91) და 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი **გიორგი ბახტიძე** (+91) მწვრთნელების – თემურ ოჩიგავას და ანატოლი ცქიფურიშვილის თავკაცობით ამჟამად აზერბაიჯანში ემზდებიან მასპინძლებთან ერთად და 6 მარტიდან ბაქოს საერთაშორისო ტურნირში ჩაებმებიან. დანარჩენი ნაკრების წევრობის კანდიდატები 24-31 მარტს ხერსონის რინგზე მოსინჯავენ ძალებს. ნაკრების თავკაცებს მხოლოდ ამის შემდეგ ექნებათ ეროვნული გუნდის რეალურად დაკომპლექტების შესაძლებლობა.



**ლაშა დიდია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მოქალაქის პირუთვნელი აზრი

# თუ მთავრობა ავტობუსით ივლის...

**წუთისოფელი ამნაირად იმიტომ მიდის, —**
**კაი ხანია, კაცი არ ჩანს ნამდვილად დიდი!**

**მუხრან მაჭავარიანი**

**ამჟამად მრავალ ქვეყანაში, საქართველოშიც, გამეფებული ავტოკრატიული და დიდმოხელური მოქმედებები უსამართლობის, ძალადობისა და კორუფციის უტყუარი მაჩვენებელია. ფეშენებლური ბინები და აგარაკები, ძვირადღირებული ავტომობილები, უდიდესი ხელფასები, ახლობლების დასაქმება კარგ სამსახურებში ჩვენს მომავალს კარგს არაფერს უქადის.**

მაღალი ტრიბუნებიდან საუცხოო ცხოვრებას გვპირდებიან, იმედით გვასულდგმულებენ და თვალებში ნაცარს გვაყრიან. ხალხის ფსიქიკა ისეა გადაგვარებული, რომ ადამიანთა უმრავლესობას ჰგონია, თუ მთავრობა „გადააგდეს", ახალი მთავრობა კარგ ცხოვრებას მოუტანს. ეს ფუნდამენტურად მცდარი აზრია.

როგორც ისტორია ადასტურებს, ხალხისთვის არც ერთი მთავრობა არ არის მისაღები. დიდმოხელენი თავიანთი მთავრობით მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნავენ. ისინი ინიშნავენ უმაღლეს ხელფასებს, ფლობენ დიდ სიმდიდრეს და ხალხის გასაჭირს არაფრად აგდებენ. როგორ შეიძლება დიდმოხელეებს ჰქონდეთ ათასობით ლარი ყოველთვიური ხელფასის სახით, ხოლო სხვებს 200-300 ლარი ან განა შეიძლება პენსია არ ინიშნებოდეს სტაჟისა და დამსახურების მიხედვით?

განა შეიძლება მეცნიერ-მუშაკების, პროფესორებისა და აკადემიკოსების პენსია 120 ან 150 ლარი იყოს? ყოველივე ეს „ბრმა პლუტოსობაა". ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა სიმდიდრის ღმერთი პლუტოსი ბრმად გამოსახეს, რადგან იგი სიმდიდრეს უსამართლოდ ანაწილებდა. იგივე ხდება ჩვენშიც XXI საუკუნეში. გამოდის, რომ უძველესი დროიდან დღემდე ადამიანის მორალს და სამართლიანობას წინსვლა არ შეხებია, თავის ტვინს არაფერი მომატებია. ადამიანთა ჩაგვრა იგივე დოზით მიმდინარეობს, ოღონდ უფრო ცივილიზებულად.

ისმის კითხვა: ესაჭიროება თუ არა ადამიანთა ფსიქიკას გაჯანსაღება, სულიერი ატომებით დატვირთვა და ისეთი კანონების ამოქმედება, რაც ცხოვრებას ნორმალურ ჭრილში ჩააყენებს? ეს ფსიქიკური გაჯანსაღება პირველ რიგში დიდმოხელეებს და კანონმდებლებს სჭირდებათ, რადგან ისინი წყვეტენ ადამიანთა ბედს. მათ კარგად უნდა გაიაზრონ, რომ ისინი ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავები, ცხოვრების ისეთივე წესით უნდა ხელმძღვანელობდნენ, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები, ისეთივე ხელფასს უნდა ღებულობდნენ, როგორიც ჩვენ გვაქვს, ისეთივე ტრანსპორტით უნდა დადიოდნენ, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქენი.

სკანდინავიის ქვეყნებში მაღალი რანგის დიდმოხელეები ავტობუსებით დადიან. ესაა ხალხისა და მთავრობის ერთიანობა. ჩვენშიც კარგი ცხოვრება მაშინ დამყარდება, როცა მთავრობის წევრები ავტობუსებით მივლენ სამსახურში, როცა ყველა ჩაბმული იქნება სასარგებლო შრომაში, როცა პროფესორი იქნება მუშა და მუშა — პროფესორი, როცა მდიდრები ჩამოიჭრიან მაღალ ხელფასებს და ღარიბებს გადაუნაწილებენ.

მაგრამ განა შეიძლება მგელი და კრავი ერთად სძოვდნენ? განა შეიძლება ვეფხვს უთხრა, ლმობიერი იყავიო, როგორც ამას სომერსეტ მოემი ამბობს? მაგრამ რანაირი უტოპიაც არ უნდა იყოს ჩვენი აზრები, თუ ეს უტოპია რამდენიმე პროცენტით მაინც შესრულდება, ამისთვის ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ. მთავრობა და ხალხი ერთიანი უნდა იყოს. მხოლოდ მაშინ მოისპობა დაპირისპირება ადამიანებსა და პარტიებს შორის. ქვეყანას დაპირისპირება ანგრევს, რისი მიზეზიც სოციალური უთანასწორობაა. დანაწევრებული საზოგადოება ამავე საზოგადოების ნაღმია! სიმონ გუგუნავა „თამარიონში" კარგად შენიშნავს:

**„მაგრამ რადგან ორად არის**
**გაყოფილი მთელი ხალხი,**
**ერთი რასაც იმოქმედებს,**
**მეორისგან აძევს ძრახი,**
**ამიტომაც არც ერთს წაღმა არ**
**უბრუნავს ბედის ჩარხი,**
**ამ მიზეზით ორთავ მხარეს**
**გათხრილი აქვს მიწის არხი".**

ეს არხი აღარ იარსებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამყარდება სოციალური თანასწორობა, თუ ჩვენ ვიქნებით ფსიქოსანუსები და არა კაციჭამიები და თუ მთავრობა ჩვენსავით ავტობუსით ივლის!

**მამია მდინარაძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,**
**პროფესორი, ფსიქოთერაპევტი.**

ედუარდ შევარდნაძე ოჯახით მწუხარებით თანაუგრძნობს ქალბატონ ლია ცაგარეიშვილს მისი ქალიშვილის, ღირსეული ქალბატონის, შესანიშნავი ჟურნალისტის

**ნანა ჯაფარიძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მისი ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

თბილისი. 27/02/2013წ.

---

სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებელი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ელმავალმშენებლობის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი წარმომადგენელი, მაღალი დონის პროფესიონალი, მრავალი თაობის აღმზრდელი



**ანზორ გორგაძე**

წავიდა ჩვენგან უკეთილშობილესი პიროვნება, დაუზარელი, შრომისმოყვარე და ოჯახის სანიმუშო ხელმძღვანელი. ცხოვრებამ დიდი განსაცდელი და ტკივილი მიაყენა მას, მაგრამ ვერ გატეხა და ვალმოხდილმა დატოვა ეს ქვეყანა. ელმავალმშენებლები მადლიერებით ვაცილებთ ჩვენი კოლექტივის ღირსეულ წევრს, ერთგულ მეგობარს და თანავუგრძნობთ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

---

თორნიკე ლაღიძე ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება, რომ პარიზში გარდაიცვალა

**რეზო გოგიტიძე (ვოდე)**

დაკრძალვა 28 II, პარიზში ლევილის სასაფლაოზე.

---

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დიფერენციალური განტოლებების განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ჯონდო გვაზავა**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

ქდმ-ს ღრმა კრიზისი

# თარგამაძე ლაპარაკს იწყებს?

**მას შემდეგ, რაც 2007 წლის 7 ნოემბერს საკაშვილისა და მერაბიშვილის შავრაზმელებმა ტელეკომპანია „იმედი" დაარბიეს, მოგვიანებით კი დახურეს, დაზარალებულმა ჟურნალისტებმა „იმედის" საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელის (ყოფილი) გიორგი თარგამაძის ხელმძღვანელობით შექმნეს პოლიტიკური ორგანიზაცია „ქრისტიან-დემოკრატები".**

საზოგადოება ახალშექმნილი ორგანოსგან ბევრს მოელოდა. ყველას ეგონა, რომ პოლიტიკაში წასული ჟურნალისტები ისეთივე უკომპრომისონი და შეურიგებელნი იქნებოდნენ ახალ ასპარეზზე, როგორებიც იყვნენ ტელეეეთერში.

გავიდა დრო, დადგა 2008 წლის არჩევნები. „ქრისტიან-დემოკრატები", რომლებიც მანამდე სხვა ოპოზიციურ პარტიებთან პოლიტიკურ ალიანსში იმყოფებოდნენ, მოულოდნელად უარყოფენ კოლეგებთან მიღწეულ შეთანხმებას. აგროვებენ პროცენტულ მაჩვენებელს, რომელიც საჭირო იყო ფრაქციის შესაქმნელად. წინასწარი შეთანხმებით პარლამენტში შესულ ოპოზიციურ ძალებს არჩევნების გაყალბებაზე პროტესტის ნიშნად უნდა დაეტოვებინათ მანდატები, უარი ეთქვათ პარლამენტარობაზე. რაც რამდენიმე ორგანიზაციამ შეასრულა, მაგრამ არა სუყველამ. თარგამაძე და მისი გუნდი ამ ნაბიჯს იმით ხსნიდნენ, რომ ხელისუფლების კრიტიკისათვის სურდათ, გამოეყენებინათ საპარლამენტო ტრიბუნა.

თუმცა, აქაც გაუმტყუნეს იმედი ყოფილმა „იმედელებმა" საზოგადოებას. მათი მხრიდან არ ყოფილა მწვავე კრიტიკა (დემარშს რომ თავი დავანებოთ) ქვეყანაში განვითარებული უმწვავესი პროცესებისა. მიტინგების უმოწყალოდ დარბევა, პროტესტის გამომხატველთა მკვლელობები, ახალგაზრდების ქუჩაში ჩაცხრილვები, უმძიმესი მდგომარეობა ციხე-კოლონიებში, კერძო ქონების ხელყოფა, სახელმწიფო ხაზინიდან თანხების არამიზნობრივად ხარჯვა და დატაცება მხოლოდ ლაითად ხვდებოდა „ქრისტიან-დემოკრატების" ყურადღების ღირსი.

ამ პარტიამ საკაშვილსა და მის გუნდს არნახული დახმარება გაუწია, პარლამენტში შესვლაზე. ნაცებს უკვე შეეძლოთ, საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის თავისუფლად ეთქვათ, რომ ქვეყანაში მრავალპარტიული პარლამენტია, ოპოზიცია წარმოდგენილია „ქრისტიან-დემოკრატიული" მოძრაობით და ა. შ. „მოძრაობამ" ფაქტობრივად ჩაშალა ოპოზიციური სპექტრის მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, გაიქცნენ რა მოლაპარაკებების ე. წ. „რვიანიდან".

თანდათანობით ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება, რომ გიორგი თარგამაძემ კარგად მოირგო ოპოზიციონერის მანტია. მისი ფრაქცია გახდა საკაშვილის მიერ მართვადი. რა ეპითეტებით აღარ ამკობდნენ „ქრისტიან-დემოკრატებს": „ვითომ ოპოზიცია", „ცრუ ოპოზიცია" და ა. შ. 2012 წლის გაზაფხულზე ეს პარტია ერთ-ერთმა პოლიტიკურმა ოპონენტმა ტერმინით „მკვდარზე „ვენოკი" (გასაგებია მკვდრად ვინ იგულისხმებოდა) ისე მოიხსენია.

პარლამენტში ფრაქციის არსებობის პერიოდში საზოგადოების გარკვეული ნაწილი მოწმე გახდა, თუ როგორ ლანძღავდა გიორგი თარგამაძე ახალ პოლიტიკურ ძალას „ქართულ ოცნებას" და მის ლიდერს ბიძინა ივანიშვილს, რაც მთლიანად შეესაბამებოდა საკაშვილისა და მისი გუნდის ინტერესებს. ყველასაგან მივიწყებული გიორგი თარგამაძე ცდილობდა, „ნაცებს" მიკედლებოდა და მათი მხრიდან არჩევნების შედეგების ჩვეულებისამებრ გაყალბების შემდეგ, ეგებ მისთვის და მისი პარტიისთვისაც გადმოეგდოთ პარლამენტში შესვლის პროცენტები. მაგრამ საქმე ისე წავიდა, რომ გაყალბების მიუხედავად, ის რაოდენობაც ძლივს შეაკოწიწეს ვარდოსნებმა, რაც ახლა აქვთ უმცირესობაში მყოფთ. ვიღას ახსოვდა თარგამაძე.

პარტიის თავმჯდომარეს განვლილ პოლიტიკურ ცხოვრებასაც უწუნებენ ოპონენტები. „ღალატი თანმდევია მისთვის" — აცხადებენ ისინი. უღალატა ასლან აბაშიძეს, რამდენიმეგზის უღალატა ერთ დროს ძლიერ პოლიტიკურ პარტიებს. ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ბრალდებად თარგამაძისაგან პატარკაციშვილის ღალატი მიაჩნიათ.

რაში სდებენ ბრალს თარგამაძეს? მკითხველს შევახსენებთ, რომ 2007 წლის 18 დეკემბერს ლონდონში ერთმანეთს შეხვდნენ ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელი ერეკლე კოდუა. რამდენიმე დღეში „იმედის" ტელეეთერში ამ შეხვედრის ფარული ვიდეო ჩანაწერი გავიდა, რომელშიც პატარკაციშვილი კოდუას ხელისუფლების წინააღმდეგ ჩანაფიქრის გეგმას აცნობს. მის მიხედვით სოდ-ის უფროსს 100 მლ. დოლარის სანაცვლოდ არსებული ხელისუფლება უნდა დაემხო.

ამ ფილმთან დაკავშირებით საზოგადოებაში მრავალი ჭორ-მართალია გავრცელებული. ყველაფრის გარკვევისა და სამართლის დადგენის მიზნით, თარგამაძე მოითხოვს სოდ-ის მაშინდელი ხელმძღვანელის ერეკლე კოდუას დაკითხვას. თავის მხრივ კი მზად არის 7 ნოემბერს „იმედის" დარბევისა და კოდუა-პატარკაციშვილის შეხვედრის ფარული ჩანაწერის გავრცელების შესახებ პროკურატურას ჩვენებები მისცეს.

პროკურატურა დიდი ინტერესით არ შეხვედრია ამ განცხადებას. ამ უწყებაში ამტკიცებენ, რომ თუ საქმე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, გამოძიება აუცილებლად უნდა დაიწყონ.

მომხდარის განმარტებას ცდილობს თარგამაძის თანაპარტიელი გიორგი ახვლედიანი. ჩვენ ამ საკითხის გამოძიებისთვის არაერთხელ მივმართეთ პარლამენტს, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო არაფერი გაკეთებულაო, ამბობს იგი და იქვე დასძენს, რომ ეს საქმე სტრასბრუგშიცაა გაგზავნილი და დასკვნა მალე დაიდება.



ახვლედიანი აკონკრეტებს, რომ ტელეკომპანიამ პატარკაციშვილისაგან მიიღო მხოლოდ ერთი ფარული ჩანაწერი, პატარკაციშვილის მიერ ლონდონიდან გამოგზავნილი მეორე და მესამე ჩანაწერები მათთან არ მისულა.

რას ამბობს ნონა? ბადრი პატარკაციშვილის ერთგული თანაგუნდელი ჭადრაკში 5-გზის მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილისთვის თარგამაძის მხრიდან ამ საკითხის წამოწევა უცნაურია და მასში ეჭვს ბადებს. იგი ყვება იმას, რასაც თავად შეესწრო და იცის. იმ დროს, როდესაც ეს ამბები ხდებოდა პატარკაციშვილი პრეზიდენტობის კანდიდატი იყო და შექმნილი ჰქონდა საარჩევნო შტაბი. შტაბში ისხდნენ ქალბატონი ნონა და პრეზიდენტობის კანდიდატის და — მზია პატარკაციშვილი. ამ დროს „იმედის" ეთერში გავიდა ლონდონიდან ჩამოსული პირველი ჩანაწერი. გაფრინდაშვილის განმარტებით დამ ბადრის მესიჯი გაუგზავნა — რა ხდებაო. მოვიდა პასუხი, ახლა გაუშვებენ მეორე ჩანაწერს, ის უკვე გამოგზავნილი მაქვსო. რამდენიმე ხნის შემდეგ მეორე ჩანაწერი მართლაც გაუშვეს. მაგრამ ის აშკარად დამონტაჟებული იყო, — ამბობს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი. მისთვის უცნობია, მიიღეს თუ არა რედაქციაში ჩანაწერი და თუ მიიღეს, რა ბედი ეწია მას. ნონასათვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ პატარკაციშვილმა „იმედში" მეორე ჩანაწერიც გამოაგზავნა.

„ქრისტიან-დემოკრატი" გიორგი ახვლედიანი ამბობს, რომ პროკურატურის მიერ გავრცელებულ ჩანაწერს აშკარად ეტყობოდა, რომ იყო დამონტაჟებული და ფაბრიცირებული. კარგი იქნებოდა, ბატონ ბადრის მეორე ჩანაწერიც რომ გამოეგზავნა. მაშინ მის მიმართ გავრცელებული აბსურდული ბრალდებები ყოველგვარი საფუძველს იქნებოდა მოკლებული და ჩვენც ავცდებოდით თარგამაძის მიმართ გავრცელებულ ათასგვარ ჭორებს — ასკვნის ყოფილი პარლამენტარი გიორგი ახვლედიანი.

მიუხედავად „ქრისტიან-დემოკრატების" ქადილისა, რომ სიმართლისათვის იბრძოლებენ და ამის შესაძლებლობა დღეს უკვე არის, პროკურატურაში მათი განცხადება ჯერ არ შესულა.

**ზაზა ბილიხოძე**

**P. S. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, გიორგი თარგამაძისა და მისი პარტიის მხრიდან ამ საკითხის წამოწევა მიუთითებს იმაზე, რომ „ქრისტიანული მოძრაობა" ღრმა კრიზისშია. მათ ჯერ წინასაარჩევნო პერიოდში დაკარგეს საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნება ინგა გრიგოლიას სახით. თვითონ პარლამენტში ვერ მოხვდნენ. ცოტა ხნის წინათ კი მათი რიგები დატოვეს დედაქალაქის საკრებულოს ყველაზე აქტიურმა წევრებმა — ჯაბა სამუშიამ და ზაზა დავითაიამ.**

**ზ. ბ.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## შეუცნობელი

**სტატისტიკური მონაცემებით, ყოველი მეათე კაცი დარწმუნებულია, რომ მოჩვენებას გადაყრია. იმის მიუხედავად, რომ პირველი ცნობები იმის თაობაზე, თითქოს ზოგიერთ ადამიანს მოჩვენების დანახვის უნარი აქვს, ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს დროს განეკუთვნება, ამ თემის „სერიოზული" კვლევები გაცილებით მოგვიანებით დაიწყო.**

# „მფრინავი ჰოლანდიელის"... კოლოები



### მოჩვენებებზე მონადირეები

მოჩვენებების მაძიებელთა პირველი კლუბი ინგლისში 1655 წელს შეიქმნა, მისი წევრები კი ერთიანად განათლებული ხალხი, მათ შორის ცნობილი ფიზიკოსი რობერტ ბოილი იყო. კლუბის წევრები სხვა პირთა მიერ დანახულ მოჩვენებებზე მთელ ინფორმაციას აგროვებდნენ, მათ კლასიფიცირებასა და იმის გარკვევას ცდილობდნენ, თუ სად შეიძლებოდა მათი დანახვა.

მოგვიანებით „მოჩვენებებზე მონადირეთა" საქმიანობა „ფსიქიკურ კვლევათა საზოგადოებამ" განაგრძო, რომელიც დიდ ბრიტანეთში 1960 წლამდე მოქმედებდა. მოჩვენების საკითხით დიდად დაინტერესებულები იყვნენ სხვადასხვა ცნობილი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეებიც, მათ შორის, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ენდრიუ ჯექსონი. არსებობს ლეგენდა, თითქოს პრეზიდენტი ერთხელ ყველაზე ცნობილ ამერიკულ მოჩვენებას, ბელების კუდიანს გადაეყარა: მე-19 საუკუნეში, ტენესის შტატში, ფერმერ ჯონ ბელის ფერმაში უცნაური ცხოველი – ძაღლისთავიანი ბოცვერი – გამოჩნდა. ჯონ ბელმა არც აცია, არც აცხელა, ურჩხულს თოფი დაახალა, თუმცა ამის შემდგომ ფერმაში უცნაური ამბები დატრიალდა: ოთახებში რაღაც უცნაური ხმები გაისმოდა, კარები თავისით იხურებოდა, ოჯახის წევრები ხშირად ვიღაც ქალის სილუეტს ლანდავდნენ... ფერმაზე დატრიალებული უცნაური ამბების შესახებ რომ შეიტყო, იქ გენერალი და მოყვარული ეგზორსისტი **(ეშმას განმდევი – ნ.ა.)** ენდრიუ ჯექსონი გაემართა. მაგრამ ავი სულის განდევნის რიტუალის ჩატარების შემდეგაც უცნაური ამბები ფერმაში მაინც გაგრძელდა. ენდრიუ ჯექსონი კი პირველად ცხოვრებაში „ბრძოლის ველიდან" გაიქცა და განაცხადა, რომ კუდიანთან შებრძოლებას მოწინააღმდეგის მთელ ჯართან ომი ურჩევნია. მოგვიანებით ენდრიუ ჯექსონი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა, მერე კი... თავადაც მოჩვენებად გადაიქცა! თეთრი სახლი ამერიკაში მოჩვენებებით ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ადგილად ითვლება – გარდაცვლილი პრეზიდენტები ხშირად სტუმრობენ თავიანთ რეზიდენციას სიკვდილის შემდეგ. მაგრამ **თეთრი სახლის ყველაზე ავის მომასწავებელ მოჩვენებად შავი კატა ითვლება, რომელიც, ჩვეულებრივ, ყველაზე საშინელი ამბების წინ ჩნდება ხოლმე, მაგალითად ისეთის, როგორიც პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობა იყო.**

### გონების თამაში

თუმცა, ყველაფერი ეს ლეგენდების სფეროა, მაგრამ, მაინც რატომაა, რომ ადამიანები თაობიდან თაობას გადასცემენ ამ ამბებს და, საღი განსჯის მიუხედავად, მაინც სჯერად იმქვეყნიური სამყაროს არსებობისა? მკვლევარები ამას რამდენიმე მიზეზით ხსნიან.

ერთ-ერთი ვერსიით, **ადამიანთა უმრავლესობა მოჩვენებად ჰაერში ავარდნილ მტვერს აღიქვამს, რომელიც სტატიკური ელექტრობითაა გაჯერებული.** ვიზუალურად მტვრის ასეთი ღრუბელი, შესაძლოა, ადამიანის სილუეტს ჰგავდეს, შემდეგ კი საქმეში ადამიანის გონება ერთვება. ამდენად, შემთხვევითი სულაც არ არის, რომ მოჩვენებები უმეტესად ძველ ციხე-დარბაზებში და არა ახალმშენებში ბინადრობენ!

მოჩვენებებთან შეხვედრის კიდევ ერთი პოპულარული ადგილია სასაფლაო, რაშიც გასაკვირი არაფერია: **მოჩვენებად ხშირად მიწის წიაღიდან ამოსულ ფოსფორს აღიქვამენ. ღამის საათებში იგი ზედაპირიდან ორი მეტრის სიმაღლეზე ადის და მომწვანო მანათობელი ელფერი აქვს.** ჰაერის მცირე წამობერვაზეც კი იგი რხევას იწყებს, ამიტომ ხშირად ჰგონიათ, რომ მოჩვენება მისდევდათ.

არც ერთ ფსიქიკურად ჯანმრთელ კაცს მოჩვენება დეტალურად არ უნახავს, მხოლოდ ჩრდილისთვის, ლანდისთვის თუ მოუკრავს თვალი. თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ „იმქვეყნიურ" სტუმართა უმრავლესობა ვიზავის დაძინების წინ ეწვევა ხოლმე. მეცნიერების აზრით, მაშინ, როცა ადამიანი ძილ-ღვიძილის ზღვარზეა, ამ დროს ზმანებები ხშირია. ჩვეულებრივ, ადამიანებს გარდაცვლილი ახლობლები ეზმანებათ – ქვეცნობიერებას საყვარელ ადამიანთან განშორება არ სურს. სტატისტიკური მონაცემებით, **შვილდაკარგულ მშობელთა ნახევარი ამბობს, რომ მათი ხმები ესმით, ანდა, სულაც, ხედავენ თავიანთ პირმშოებს.**

### მფრინავი ჰოლანდიელი

მოჩვენებებად არა მარტო ადამიანები ან ცხოველები, არამედ ზოგჯერ გემებიც კი გადაიქცევიან ხოლმე. მათ შორის ყველაზე ცნობილია ეგრეთ წოდებული „მფრინავი ჰოლანდიელი". გადმოცემით, ერთ-ერთი ჰოლანდიური აფრიანი გემი კეთილი იმედის კონცხთან საშინელ ქარიშხალში მოჰყვა. გემის გუნდმა კაპიტანს რომელიმე უბეში თავშესაფრის მოძებნა მოსთხოვა, მაგრამ ჯიუტმა კაცმა ჯერ ნახევარი ეკიპაჟი დახოცა, შემდეგ კი ეშმას დახმარება შესთხოვა, რომელმაც გემი კი გადაარჩინა, მაგრამ სამარადჟამო ხეტიალისთვის გაწირა. მას შემდეგ აფროსანი, რომლის ეკიპაჟს ცოცხალი მკვდრები შეადგენენ, ყველა ზღვაში დახეტიალობს და გზად გადაყრილ ხომალდებს დაღუპვას უქადის.

იმ დროის დოკუმენტებით ირკვევა, რომ **აფროსანზე ყვითელი ციებ-ცხელების ეპიდემია დაიწყო, რომელიც კოღოებით გადაიცემა.** მთელი ეკიპაჟი დაიღუპა, ქარი კი მკვდარ გემს კიდევ დიდხანს ათამაშებდა ტალღებში. იდუმალი ხომალდის შემხვედრი გემებიდან ამბის გასაგებად მეზღვაურები ხალხს აგზავნიდნენ, სადაც მათ კოღოები კბენდნენ და ეპიდემია ახალი ძალით იფეთქებდა ხოლმე.

არის კიდევ ერთი ვერსია, მართალია, ნაკლებად გონებამახვილური, თუმცა კი, არანაკლებ სარწმუნო. სავარაუდოა, რომ **„მფრინავი ჰოლანდიელი" – სხვა არაფერია, თუ არა მირაჟი, რომელიც ზღვის ზედაპირზე სიმაღლის ზრდასთან ერთად ტემპერატურის მატებითაა გამოწვეული. ამიტომ, არეკვლის ზონა აქ დამკვირვებლის თავს ზემოთაა, ამიტომაც ჩანს მოვლენები, რომლებიც ჰორიზონტის ხაზს დიდი მანძილითაა დაშორებული.**

განსაკუთრებით კარგად ეს ეფექტი ცივ ზღვებში ვლინდება. მაგალითად, ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს მეზღვაურებს არაერთხელ უნახავთ, რომ მოწინააღმდეგის თვითმფრინავები მათგან დიდი მანძილით დაშორებულ „მფრინავ ჰოლანდიელებს" უტევდნენ...

**ნინო ალექსანდრია**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### „ნაციონალებს" საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება სურთ"

– ამბობს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე, – ყველაფერი შეგნებულად კეთდება იმისთვის, რომ ვიღაცას ნერვებმა უმტყუნოს და მიხეილ სააკაშვილს აპრილის ბოლოს ჰქონდეს იმის „იურიდიული უფლება", რომ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს. შესაბამისად, დაშალოს სახელისუფლებო სტრუქტურები და შემოიღოს საგანგებო მდგომარეობა... სააკაშვილს არა აქვს ელექტორატის რესურსი, ხალხის რესურსი არა აქვს, ხოლო ფინანსური და საორგანიზაციო რესურსები ნამდვილად აქვს. ასევე აქვს მხარდაჭერა დასავლეთიდან... ისინი სერიოზული ბრძოლისთვის არიან განწყობილნი.

**„ახალი თაობა"**

### დიმა ჯაიანი სოხუმის თეატრში ბრუნდება

– სოხუმის თეატრში ძალიან მალე დავბრუნდები, ეს უკვე ღირსების საკითხია, – აცხადებს ინტერვიუში მსახიობი დიმა ჯაიანი. როდესაც ქვეყანაში არსებულ ვითარებას აფასებს, შიშობს, საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე არ მივიდეს.

იგი საუბრობს, თუ რა შეიცვალა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ხელისუფლების ცვლილებების შემდეგ და, საერთოდ, რა სიტუაციაა ამჟამად ქვეყანაში.

– შეიძლება ხმამაღლა ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ მე რომ არ ვყოფილიყავი, „სოხუმის თეატრი" არ იქნებოდა, – ამბობს დიმა ჯაიანი.

**„ვერსია"**

### „უმრავლესობაში კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხზე ვიმსჯელებთ"

– აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია, – მთავარი პროკურატურის განცხადებით, გამოძიებით დადგინდა, რომ მოსამართლეებს – ბესარიონ ალავიძესა და მაია გიგაურს უმაღლესი იურიდიული განათლება არა აქვთ. მას შემდეგ, რაც პროკურატურა ამ საკითხზე სამართლებრივ შეფასებას დადებს, უმრავლესობა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხზეც იმუშავებს. როგორც ცნობილია, მთავარ პროკურატურაში შევიდა ინფორმაცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების ორ მოსამართლეს უმაღლესი იურიდიული განათლება არ გააჩნდა.

**„რეზონანსი"**

### ვისთან ერთად ქეიფობდა სააკაშვილი რესტორან „დაინინგ რუმში"?

პრეზიდენტი სააკაშვილი რომ სმა-ჭამის და გართობის დიდი მოყვარულია, საიდუმლო არავისთვისაა. ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. ჰოდა, სააკაშვილი არც „ოპოზიციაში გადასვლის" შემდეგ ღალატობს ტრადიციას. ამჯერად იგი ვაკეთში, რესტორან „დაინინგ რუმშს" შეეჩვია. გავრცელებული ხმებით, მისი დანახვისას მაგიდებთან მსხდომნი ხშირად ტოვებენ რესტორანს. თვითმხილველების ცნობით, 22 თებერვალს რესტორანში მას თან ახლდნენ დეპუტატები – გიორგი ბარამიძე, დავით საყვარელიძე, გიორგი ვაშაძე და გიორგი კანდელაკი.

**„ყველა სიახლე"**

## კადრი



## ანეკდოტები

**ქალს მთელი ღამე არ ეძინა, ქმარს ელოდა – საოცრად ღელავდა... მერე კი გაახსენდა, რომ გათხოვილი არ იყო და დაეძინა.**

* * *

**– შენი შვილი ჩემს ბეღელში დავიჭირე... – ეუბნება ტიპი ბოშათა მეთაურს.**

**– ბეღელში, რა თქმა უნდა, იოლია დაჭერა, აბა, მინდორში სცადე ამის გაკეთება!**



* * *

**ნებისმიერ ქალს მოსწონს, რომ მას ყვავილებს ჩუქნიან, მაგრამ მოსწონს მანამ, სანამ არ გაიგებს, რომ სხვებს ბრილიანტებით ასაჩუქრებენ.**

* * *

**კაცების საყურადღებოდ: გოგოები, რომლებიც ექვსი საათის შემდეგ არ ჭამენ, ორჯერ უფრო სწრაფად თვრებიან!**

* * *

**მარკეტინგი – ეს ილუზიებით ვაჭრობაა.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com